




# ახალი განათლება

№14 (568) გაგონის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



„ხარება“  
ანდრეი რუბლიოვი

ღვთისმშობელი ქალწული,  
ციხარდენ, მიძღლებული  
ძარიაძე, უფალი შენთანა,  
კურთხეულ ხარ შენ ღვლათა  
შობის და კურთხეულ არს  
ნაყოფი ძუცლისა შენისა,  
ჩაქეთუ ძაცხვიანი  
გვიძეე სულთა ჩვენთა.

**ღირაქტორთა კლუბი**

მოსწავლეთა  
დროგაზე დაყვარებული  
გართვის მოღვაწე  
გვერდი 3

**გათმობილია**

გათმობილის ჰელაგოვთა  
დასახელებულად

ფიზიკის ჰელაგოვთა  
დასახელებულად  
გვერდი 4-5

**საბუნებისმეტყველო განყოფილება**

გთავაზობთ საბუნებისმეტყველო  
განყოფილების  
განხილვის ნიშნულს -  
ფიზიკა,  
ქიმია,  
ინგოგრაფია,  
ინფორმაციული  
გვერდი 6



განყოფილების ეროვნული ცენტრი 6 აპრილიდან ფართომასშტაბიან აპრობაციას იწყებს. 4 აპრილს განყოფილების ეროვნული ცენტრის ღირაქტორი მანია მიმინოვილი აპრობაციის მონაწილე სკოლების ღირაქტორებს შეხვდა.

აპრობაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ახალი სისტემის შექმნაა, რომელიც საშუალებას მისცემს მონაწილეს პრაქტიკულად გაეცნოს შედეგ შედეგს არა მხოლოდ შეფასება, არამედ დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ და რა დროში დაეხმოს კონკრეტული საგნის ტესტის გარკვეული ნაწილები, რამდენ კითხვას უპასუხებს სწორად და რამდენს - ვერა.

აპრობაციისას მოსწავლეები გამოსაშვები გამოცდების დავალებებზე იმუშავებენ.

ამ სისტემის შექმნა მოსწავლეებისა და აბიტურიენტების ინტერესებიდან გამომდინარე გადამწყდა - საქართველოს რეგიონებსა და თვითონ ჩატარებულმა უამრავმა შეხვედრამ ცხადყო, რომ ასეთი სახის სისტემის შექმნა ეფექტური დახმარება იქნებოდა აბიტურიენტებისა და ჰელაგოვებისათვის.

აპრობაციები საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 170-მდე სკოლაში ტარდება.


სისტემის რეალურ რეჟიმში ამოქმედება მომდევნო სასწავლო წლიდან იგეგმება.

## ხელმოგონება საყურადღებოდ

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი წიგნში პირველად არის წარმოდგენილი ისე, რომ ყოველ სტროფს უშუალოდ ახლავს, მოსდევს მისი კომენტარი - ქველად გასაგები სიტყვების, გამოთქმების და ფრაზების, სახეების, ქვეთექსტების განმარტება. გუნებრივია, ეს გაუადვილებს მოსწავლეს აქამდე ტექსტის აღქმას და გააზრებას, უფრო ეფექტურად გახდის „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების პროცესს.

ანალიტიკურ გზამკვლევი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ერთვს, დეტალურად არის გაანალიზებული აქამდე მხატვრული რეალობა, პერსონაჟთა სახეები და მათი ურთიერთობა, სიტუაციები და კოლიზიები, რომლებიც ისინი არიან მოქცეულნი. გზამკვლევი წარმოგვნილობს ნაწარმოების ძირითადი პრობლემები, მოტივები, სათქმელი, კონცეფციის არსი. ანალიზი წარმართული ნაწარმოების ეპიზოდების მიხედვით და ვადამოგს შესაძლებლობა ეძლევა, მოსწავლეს ნაწარმოების ამა თუ იმ მონაკვეთის გაცნობისთანავე მიანდოს შესაბამისი ანალიტიკური განმარტება. ყოველივე ეს მიმართულია იმისკენ, რომ ახალგაზრდა მკითხველებმა უფრო მათი ინტერესით, უფრო ცოცხლად აღიქვან რუსთაველის პოემა, უფრო ღრმად და საფუძვლიანად ჩანდნენ მის რთულ, მრავალპლანიან აზრობრივ წყობას.

„ახალი განათლების“ წიგნის თარო



შოთა რუსთაველი  
ვეფხისტყაოსანი

**ვეფხისტყაოსანი**

კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი ლიტერატურის შემსწავლელთა და მოყვარულთათვის

ტექსტის კომენტარების და ანალიტიკური გზამკვლევის ავტორი თამაზ ვასაძე

ფასი 11 ლარი

ინფორმაცია

\*\*\*



2012 წელს სასერტიფიკაციო გამოცდებს 41000 პედაგოგი ჩააბარებს, ორჯერ მეტი, ვიდრე გასულ წელს.

პედაგოგთა მოტივაციის გაზრდა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის ერთ-ერთი გაზრდილი ხელფასებია.

საგამოცდოდ პედაგოგთა მომზადების მიზნით, მასწავლებლის სახლში, ყოველდღიურად, მიმდინარეობს ტრენინგები პროფესიულ უნარებსა და ყველა საგანში.

\*\*\*

2012 წლის 2 აპრილიდან პირველკლასელთა ონლაინრეგისტრაცია დაიწყო. წელს პირველად, რეგისტრაცია მხოლოდ ინტერნეტით განხორციელდება.

შვილის დასარეგისტრირებლად მშობელს მხოლოდ პირადი მონაცემის შევსება დასჭირდება, რაც რამდენიმე წუთს მოითხოვს.

ბავშვის ონლაინრეგისტრაციისათვის მშობელს მოუწევს შემდეგი ფორმის შევსება: ბავშვის სახელი და გვარი, პირადი ნომერი.

მშობელი რეგისტრაციის ნარმატებით დასრულებისთანავე მიიღებს პასუხს შვილის სასურველ სკოლაში ჩარიცხვის შესახებ და, ასევე, SMS-ის საშუალებით.

მშობლებს, რომლებსაც ინტერნეტთან ხელი არ მიუწვდებათ, შეუძლიათ დასარეგისტრირებლად თავიანთი რაიონის რესურსცენტრს მიმართონ.



რეგისტრაციის პროცესი არის თავისუფალი, ნებისმიერ მშობელს შეუძლია დაარეგისტროს მოსწავლე მისთვის სასურველ სკოლაში.

შეგახსენებთ, რომ ბავშვის სკოლაში მიყვანა მშობელს 5 წლის ასაკიდან შეუძლია.

2011 წლიდან სკოლებში პირველკლასელთა მიღების წესი შეიცვალა და ამისთვის კონკრეტული ვადები დადგინდა.

\*\*\*

მანდატურებმა და „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენლებმა სამტრედიის №15 სკოლა-პანსიონის სპეციალური საჭიროების მქონე აღსაზრდელები მოინახულეს.

ლონისძიების ფარგლებში, მოსწავლეებმა სტუმრებს საკუთარი შესაძლებლობები ლექსებითა და სიმღერებით წარუდგინეს.



მსგავსი ღონისძიებები მანდატურებსა და ბავშვებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, კეთილგანწყობას და ნდობის გაზრდას უწყობს ხელს.

სამტრედიის №15 სკოლა-პანსიონში ქუთაისის მანდატურების სტუმრობა კვლავაც გაგრძელდება.

\*\*\*

მასწავლებლის სახლში ჩარლზ დიკენსის 200 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა.



ვიდ გიბსონი უძღვებოდა. ბრიტანელმა ექსპერტებმა შექსპირისა და დიკენსის შემოქმედებაზე მოხსენებები წარმოადგინეს.

კონფერენცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ აკაკი სეფერთელაძემ და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გია მამულაშვილმა გახსნეს.

ორდღიანი კონფერენციის ფარგლებში, მოხსენებების, პრეზენტაციებისა და განხილვების გარდა, შექსპირისა და დიკენსის ნაწარმოებების მიხედვით დადგმული მცირე მასშტაბის წარმოდგენები გაიმართა.

\*\*\*



პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია და მათთვის 1000-ლარიანი ვაუჩერების გადაცემა 2012 წლის 20 მარტიდან დაიწყო და 20 აპრილამდე გაგრძელდება.

ამ დროისათვის, თბილისის, ქობულეთისა და ქუთაისის საინფორმაციო ცენტრებში 1490 ადამიანი შემდეგ მიმართულ ბავშვებზე დაარეგისტრირდა.

დღეს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ პროფესიულ კოლეჯში „სპექტრი“ სამშენებლო ფაკულტეტის სოციალურად დაუცველი მომავალი სტუდენტები მიიყვანა და ის გაარეგო გააცნო.

„სპექტრში“ წელს სამშენებლო მიმართულების რამდენიმე ახალი კურსი ამოქმედდა, ახალი სასწავლო კურსის კლას-კაბინეტები აღჭურვილია CATERPILLAR (CAT)-ის უახლესი სიმულატორებით და LINCOLN ELECTRIC-ის თანამედროვე შედუღების აპარატებითა და ხელსაწყოებით.

„სპექტრში“ შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება: ფართო პროფილის მშენებელი, გზის მშენებელი, დურგალი, კალატოზი, მებაქეძე, სანტარული-ტექნიკური მომსახურება, ამომწვევ-გეოდეზისტი, მხაზველ-ამზომველი, განათებისა და ძალური ქსელების ელექტრომონტაჟი, მაცივრებისა და კონდიციონერების ოსტატი, ავტომექანიკოს-ზეინკალი, ინფორმაციული ტექნოლოგიების ტექნიკოს-ოპერატორი, ბულალტერ-მონაგარი, მდივან-რეფერენტი, მობილური ტელეფონების შემკეთებელი, პერსონალური კომპიუტერის მომსახურე და შემკეთებელი მექანიკოსი და სხვ.

პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია და მათი ვაუჩერული დაფინანსება თბილისის, ქუთაისისა და ქობულეთის საინფორმაციო ცენტრებში ერთდროულად მიმდინარეობს.

\*\*\*

2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ უცხო ენად ინგლისური ენა აბიტურიენტთა 73%-მა აირჩია, ხოლო რუსული ენა მხოლოდ 17-მა პროცენტმა, 7%-მა არჩევანი გერმანულ ენაზე, 3%-მა კი, ფრანგულ ენაზე გააკეთა.

ეს უნიკალური და უმნიშვნელოვანესი შედეგი იმ რეფორმებითა განპირობებულია, რომელიც განათლების სისტემაში ტარდება.

ინგლისური ენის პოპულარიზაციის კუთხით ესოდენ დიდი წარმატება პირველ რიგში გამოიწვია პროგრამამ „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“.

ეს ყველაფერი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ინგლისური ენა და მკვიდრულა, როგორც მთავარი უცხო ენა.



დირექტორთა კლუბი

მოსწავლეთა ნდობაზე დამყარებული მართვის მოდელი

რუბრიკის სტუმარია აზროლარის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლის დირექტორი მამა მანაძე



დაიბადა 1971 წელს. დაამთავრა აზროლარის რაიონის სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლა, შემდეგ - თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ისტორიის სპეციალობით.

1994-1998 წლებში მუშაობდა სოფელ ტოლის არასრულ სკოლაში ისტორიის მასწავლებლად.

1998 წლიდან მუშაობს ჭრებალოს საჯარო სკოლაში: 2003 წლიდან - სასწავლო ნაწილის გამგე; 2007-2010 წლებში - დირექტორის მოადგილე; 2010 წლიდან დღემდე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. ამჟამად ემზადება დირექტორის გამოცდებისთვის.

ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს. გავლილი აქვს სხვადასხვა კურსები და ტრენინგები. იტაცებს ლიტერატურა, ისტორია, ხელოვნება, მუსიკა.

თანამედროვე სკოლა

თანამედროვე სკოლა ბევრად განსხვავდება იმ სკოლებისაგან, რომლებიც ახლო წარსულში გვექონდა. განათლების სისტემაში მართლაც დიდი გარდაქმნები მოხდა. ძალიან მნიშვნელოვანია სწავლებაში ახალი მეთოდების დანერგვა, სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლება, უსაფრთხო გარემოს შექმნა. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია თანამედროვე სკოლის განვითარებისათვის. მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა ბევრად განსხვავდება წინა პერიოდის ურთიერთობებისაგან. ვფიქრობ, მასწავლებლის,

მოსწავლისა და დირექტორის კოდექსების შექმნამ ბევრად შეცვალა ეს ურთიერთობები. კოდექსის დარღვევას შესაბამისი რეაგირება მოყვება.

სიახლეების დანერგვა ყველა პედაგოგისათვის მნიშვნელოვანია. მასწავლებელი სხვა ტემპში გადადის. აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისაგან კომუნიკური რეჟიმისა და თანამედროვე მასწავლებელი როგორც გაკვეთილის პროცესის დაგეგმვაში, ასევე მოსწავლეებთან ურთიერთობაში. მასწავლებელი ყოველთვის უნდა ვითარდებოდეს და სიახლეებს ემზადება. კარგი პედაგოგი ხომ ერთ-ერთი სტიმულია მოსწავლეთა სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის.

ცვლილებები

განათლების სფეროში ბევრი სასიკეთო სიახლე ხორციელდება. მნიშვნელოვანია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება. თუ ახლო წარსულში ასეთი მოსწავლეები სპეციალურ სკოლებში სწავლობდნენ, თანამედროვე სკოლაში მათ დამოკიდებულება ადგილი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება.

მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული სიახლეების ათვისებაში. განსაკუთრებით ემზადებიან სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის. სკოლა შინაარსობრივად და ესთეტიკურადაც უნდა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს.

უსაფრთხო სკოლა

რაც შეეხება უსაფრთხო გარემოს შექმნას, განათლების რეფორმის მიმდინარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა სკოლაში მანდატურის სამსახურის შექმნა. ჩვენს სკოლაში, მცირე კონტინგენტის გამო, მანდატურები არ ჰყავს. მიუხედავად ამისა, სკოლის შინაგანაწესს ჩვენი მოსწავლეები კარგად იცავენ.

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება

ეროვნულ გამოცდებზე ჩვენი მოსწავლეები კარგ შედეგებს აჩვენებენ. იღებენ გრანტებსაც. შარშან სკოლა 11-მა მეთორმეტეკლასელმა დაამთავრა. ეროვნულ გამოცდებზე დარე-

გისტრირდა 8 და ჩაირიცხა 7, გრანტი მოიპოვა 3-მა მოსწავლემ. ძალიან კარგია აბიტურის საათები, ეს კიდევ უფრო მაღლა წევს სწავლების ხარისხს და ეხმარება აბიტურიენტებს.

წარმატებული სკოლის მოდელი

ისევე როგორც ყველა სკოლა, ჩვენც სერიოზულად ვემზადებით ავტორიზაციისთვის. სკოლა რომ ბრენდირებული გახდეს, ბევრი მოთხოვნის დაკმაყოფილება გვინევს. ჩვენი სკოლა რეაბილიტირებულია, მაგრამ მართლაც ეს ნამდვილად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სკოლა წარმატებული იყოს.

წელს პირველად, IX-XI კლასებში ვატარებთ გამოცდებს, რაც ხელს შეუწობს მოსწავლეებს, უფრო მომზადებულნი შეხვდნენ საატესტატო გამოცდებს. ბრენდირებული სკოლის სტატუსის მოსაპოვებლად ბევრი შრომაა საჭირო, პირველ რიგში, დირექციისა და პედაგოგების მონაწილეობა, პასუხისმგებლობა, საქმიანობის თავდადება, პროფესიონალიზმი და, რა თქმა უნდა, მოსწავლეებისა და მშობლების მხარდაჭერა.

სკოლის დირექტორისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ნდობა. არასოდეს დავსჯი მოსწავლეს დაუმსახურებლად. მან ყოველთვის უნდა იცოდეს, რისთვის ისჯება, უნდა გრძობდეს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს. ვცდილობ მოსწავლეებთან მქონდეს მეგობრული დამოკიდებულება, რაც ხელს შეუწყობს ჩვენ შორის მეტი პატივისცემისა და სიყვარულის არსებობას. თანამედროვე სკოლის დირექტორი მაგალითის მიძემი უნდა იყოს პედაგოგებისთვის. ჩემთვის, როგორც სკოლის დირექტორისათვის, მართვის მოდელი მარტივია. ყურადღებას უფრო ადამიანურ ფაქტორებზე ვამახვილებ. თანამედროვე მოსწავლეებთან მკაცრი დამოკიდებულებით პრობლემის გადაწყვეტა, ვფიქრობ, შეუძლებელია.

წარმატებული სკოლა დამთავრებულნი

ჭრებალოს საჯარო სკოლას მართლაც სანამუშოო სკოლა დამთავრებულნი ჰყავს. ძალიან მნიშვნელოვანი იყო პროექტი „ალუმნაი“, რომლის ფარგლებშიც, მათ სკოლას დიდი

დახმარება გაუწიეს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩვენი მხარის გუბერნატორი, ბატონი დავით გაგოშიძე. მის მიერ შემოწმებული თანხა ჩვენს სკოლას სერიოზულად დაეხმარა. შევიძინეთ კომპიუტერები, სკოლისათვის აუცილებელი სხვადასხვა დანიშნულების რესურსი.

კლასბარათი სამიანობა

ძალიან მიყვარს და მეამაყება ჩემი სკოლა, მე თვითონაც ეს სკოლა დავამთავრე, რაც კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ჩვენს სკოლას დიდი ტრადიციები აქვს. ვცდილობ, ამ ტრადიციების ღირსეული მატარებელი ვაგხდე.

მიხარია, რომ ჩვენი სკოლა რაიონში წარმატებულ სკოლათა რიცხვშია, რაც ჩვენი პედაგოგებისა და მოსწავლეების დამსახურებაა. სკოლა საზოგადოებისათვის სასურველი და რეიტინგულია. ჩვენი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ კლასბარათში საქმიანობებში, ამისთვის სკოლაში ყველა პირობა შექმნილი. ვცდილობ, მაქსიმალურად მივიღოთ მონაწილეობა განათლების სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ ღონისძიებებსა და პროექტებში.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ სკოლაში ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ვატარებთ შიდა სასკოლო სპორტულ ღონისძიებებს. ჩვენი მოსწავლეები მონაწილეობენ რაიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებში, სადაც სერიოზულ წარმატებებს აღწევენ. მომავალში მიზნად ვისახავ, გავაგრძელო დანაშაული საქმიანობა და უფრო მეტ წარმატებას მივაღწიო, პედაგოგების თანადგომით. გვაქვს ჯანსაღი ამბიცი, წარმოვადგენდეთ ერთ-ერთ საუკეთესო სკოლას.

სკოლის დირექტორის თავისუფალი დრო

თავისუფალი დრო ნაკლებად მრჩება. თუმცა, მაინც ვახერხებ ეს დრო ჩემი შვილების აღზრდას მოვახმარო. რაც მთავარია, ოჯახშიც და სკოლაშიც ჩემი საყვარელი საქმით ვარ დაკავებული.

მომზადდა ნინო შიშინაშვილმა

ინფორმაცია

\*\*\*



საქართველოში პირველად, ინკლუზიური განათლების საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის მიზანი ინკლუზიური განათლების ძირითადი მიმართულებების განხილვა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება იყო.

კონფერენციაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ინკლუზიური განათლების კუთხით განხორციელებული საქმიანობის ანგარიში და სამოქმედო გეგმა წარმოადგინა. კონფერენციაზე, ასევე, გაიმართა საქართველოში ინკლუზიური განათლების სფეროში ჩატარებული კვლევების შედეგების პრეზენტაცია და მომავალი სტრატეგიული მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა.

კონფერენციაში „მომავლის განათლების სისტემა ყველა-სათვის“ მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის მინისტრის მოადგილე, ნორვეგიის ელჩი საქართველოსა და აზერბაიჯანში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ელჩი საქართველოში, საქართველოს პარლამენტის წევრები, წარმომადგენლები უკრაინიდან, ბელოარუსიიდან და მოლდოვიდან. კონფერენციის მთავარი მომხსენებლები ნორთჰემპტონის უნივერსიტეტის პროფესორები - ჯონ ვისერი და რიჩარდ როსი იყვნენ.

უნაყოფიერების თანამშრომლობის განსამტკიცებლად და საქართველოში არსებული ინკლუზიური საგანმანათლებლო სერვისების ამომწურავად განხილვის მიზნით, კონფერენციას სხვადასხვა დანეხებულებისა და ორგანიზაციის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კონფერენცია ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

\*\*\*

საქართველოს განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმების გასაცნობად, თბილისის ავსტრიელი მასწავლებლები ეწვივნენ. მასწავლებლის სახლში ავსტრიელ სტუმრებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე შეხვდა და პირადად გააცნო ის რეფორმები, რომელიც განათლების სფეროში გატარდა და სამომავლოდ არის დაგეგმილი. სტუმრებმა მრავალფუნქციური, თანამედროვედ აღჭურვილი მასწავლებლის სახლიც დაათვალიერეს.

დელეგაცია ავსტრიის თბილისთან დაქმობილებული ქალაქიდან - ინსბრუკიდან იყო და მის წევრებს ტიროლის მხარის სხვადასხვა საფეხურისა და სკოლის მასწავლებლები და დირექტორები წარმოადგენდნენ. ავსტრიელ კოლეგებს განსაკუთრებით აინტერესებდათ საქართველოს სასკოლო განათლების სისტემის გაცნობა და შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები.

კოკა სეფერთელაძემ სტუმრებს მაქსიმალური ინფორმაცია მიანიჭა თითქმის ყველა სიახლეზე. ავსტრიელი მასწავლებლებისთვის ყველაზე მეტად საყურადღებო ის პროექტები აღმოჩნდა, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლებში სწავლის ხარისხის ამაღლების კუთხით განახორციელა.



ავსტრიელი პედაგოგები ისეთი სიახლეებით დაინტერესდნენ, როგორცაა: საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირველკლასელებისათვის საჩუქრად ნეტუქების გადაცემა, ასევე, პირველივე კლასიდან ინგლისური ენის გაძლიერებულად სწავლება და პროექტი „ტექნოლოგიების, ზუსტი და საბუნებრივმეტყველო საგნების გაძლიერებულად სწავლება“, მრავალფუნქციური „მომავლის კლასების“ გახსნა, პედაგოგთა გამაზადება და მრავალი სხვა.

# მათემატიკის კვლევითი დასახმარებლად

## სოფიზმის კრეატიული ელემენტები სწავლა-სწავლების სამსახურში


**საბანი:** მათემატიკა  
**კლასი:** VII  
**ბაკვეთილის თემა:** „(?) თეორემა: მართკუთხა სამკუთხედში ჰიპოტენუზა ტოლია კათეტის“ მტკიცებაში დაშვებული შეცდომის პოვნა და მისი ანალიზი.  
**ბაკვეთილის ტიპი:** ცოდნის სისტემატიზაცია  
**ბაკვეთილის დრო:** 2 გაკვეთილი - 1სთ. 30წთ.  
**მუშაობის ფორმა:** ინდივიდუალური, ჯგუფური  
**ბაკვეთილის მიზნები:** დისკუსია; პრეზენტაცია; გონებრივი იერიში.  
**ბაკვეთილის მიზანი:** თემების (ორი პარალელური წრფის შესამთხმელად დასაბუთების) მიღებული კუთხეების თვისებები; სამკუთხედების ტოლობის ნიშნები; ტოლფერდა სამკუთხედების თვისებები; მართკუთხა სამკუთხედების ტოლობის ნიშნები (ეს უკანასკნელი მასწავლებელმა მოსწავლეებს მიაწოდა, როგორც შედეგები სამკუთხედის ტოლობის ნიშნებისა); სამკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი; მონაკვეთების შუა მართობის თვისება; კუთხის ბისექტრისის თვისება) გამოყენება და ცოდნის განმტკიცება; პრობლემის დასმისა და გადაწყვეტის უნარის ჩამოყალიბების მცდელობა; კომუნიკაბელობისა და დიალოგის უნარის განვითარება; მიღებული ცოდნის ახალ სიტუაციაში გამოყენების უნარის გამოყენება. საკუთარი შეხედულებებისა და თვითშეფასების უნარის განვითარება. ყოველივე ამის მიღწევა „(?) თეორემის“ მტკიცებაში დაშვებული შეცდომის პოვნა და ანალიზის ჩატარებით.  
**წინა პირობა:** თემაზე სამუშაოდ მოსწავლემ უნდა იცოდეს გაკვეთილის მიზანში ხსენებული თემების ნიშან-თვისებები.  
**რესურსები:** მოსწავლის წიგნი (ა. საგინაშვილი, გ. ბარელაძე, თ. ბეჭაური მათემატიკა, VII კლასი, თბილისი, დიოგენე, 2006 წ.); მოსწავლის წიგნი (И. Шарыгин, Математика, VII, «Дрофа» 1999 წ.); ზ. აღდგომელაშვილი, მათემატიკა (ინდივიდუალური და წრებრივი მუშაობა, თბილისი, „ცისნამი“, 2002წ.); პლაკატები, ინდივიდუალური ბარათები, ფორმასტერები, ფარგალი, სახაზავი, ფანქარი.  
**შეფასება:** ფასდება მიმდინარე დაგეგმვები. შეფასება იქნება როგორც განმავითარებელი (კომენტარის სახით), ისე განმსაზღვრელი.  
**ბაკვეთილის ბეჭედი:**  
 ა) (?) თეორემის დამტკიცებაში გამოყენებული ფიგურების, მათემატიკური ტერმინებისა და თეორემების გადატანა ცხრილში (ინდივიდუალურად და ჯგუფურად);  
 ბ) ცხრილში მოცემული მასალის სიღრმისეული გაგება (სახელმძღვანელოს გამოყენება. ახრთა შეჯერება ჯგუფებში);  
 გ) დისკუსია ცხრილის გარშემო;  
 დ) (?) თეორემის დამტკიცების დაყოფა საფეხურებად და დამტკიცების თითოეულ საფეხურზე დამტკიცების სისწორის გადამოწმება;  
 ე) ბრემსთორმინგი - სხვადასხვა თვალსაზრისის შემუშავება;  
 ვ) კონტრმაგალითის - თეორემის უარყოფელი მაგალითის პოვნა;  
 ხ) შესწორებული სახით ამ თეორემის, როგორც ამოცანის, ჩამოყალიბება;  
 თ) თვითშეფასება;  
 ი) გაკვეთილის შეფასება;  
 კ) საშინაო დაგეგმვის მიცემა.  
**ბაკვეთილის მსვლელობა:**

წინა გაკვეთილზე დაგეგმვად ჰქონდათ გაემორებინათ თემები: ორი პარალელური წრფის შესამთხმელად დასაბუთების მიღებული კუთხეების თვისებები; სამკუთხედების ტოლობის ნიშნები; ტოლფერდა სამკუთხედების თვისებები; მართკუთხა სამკუთხედების ტოლობის ნიშნები (ეს უკანასკნელი მასწავლებელმა მოსწავლეებს მიაწოდა, როგორც შედეგები სამკუთხედის ტოლობის ნიშნებისა); სამკუთხედის კუთხეების სიდიდეთა ჯამი; მონაკვეთების შუა მართობის თვისება; კუთხის ბისექტრისის თვისება). 5 წუთის განმავლობაში კლასთან გვექნება საუბარი ამ საკითხებზე.

კლასს დაგეგმვად (ჯგუფებში მოსწავლეთა რაოდენობა დამოკიდებულია კლასის მოსწავლეთა რაოდენობაზე). ვაძლევ დაგეგმვას: „თითოეულმა ინდივიდუალურად წაიკითხეთ ჩემ მიერ მოწოდებულ ფურცლებზე „(?) თეორემის“ დამტკიცების ტექსტი (ტექსტს მკითხველი იხილავს ცხრილის შემდეგ) და შეავსეთ ცხრილი. თეორემის დამტკიცების გაგებას ამ ეტაპზე ნუ ეცდებით“. ცხრილი ასეთია:


(?) თეორემის დამტკიცების ტექსტში გვხვდება		
გეომეტრიული ფიგურები	მათემატიკური ტერმინები	აღრე ნასწავლი თეორემები (თვისებები, ნიშნები)
წრტილი წრფე სიბრტყე მონაკვეთი კუთხე სამკუთხედი ბისექტრისა შუამართობი პერპენდიკულარი	ტოლი კუთხეები მართი კუთხეები ტოლი სამკუთხედები მონაკვეთის სიგრძე სიგრძეთა ჯამი სიგრძეთა სხვაობა მართკუთხა სამკუთხედი	ტოლფერდა სამკუთხედების ნიშნები. მართკუთხა სამკუთხედების ტოლობის ნიშნები. კუთხის ბისექტრისის თვისება. მონაკვეთის შუამართობის თვისება.

აქ მომეყვს ტექსტი მტკიცებისა, რომელიც მიეცევი თითოეულ მათგანს „(?) თეორემა“  
**მართკუთხა სამკუთხედში ჰიპოტენუზა ტოლია კათეტის“.**  
 „(?) დამტკიცება“



განვიხილოთ მართკუთხა  $\triangle ABC$  მართი  $C$  კუთხით. დავამტკიცოთ, რომ ჰიპოტენუზა  $AB$  ტოლია  $AC$  კათეტისა. გავაგლოთ  $A$  კუთხის ბისექტრისა და  $BC$  გვერდის შუამართობი. მათი გადაკვეთის წერტილი აღვნიშნოთ  $K$ -თი.  
 ა) თუ  $K$  წერტილი მდებარეობს  $\triangle ABC$ -ს შიგნით (იხ.ნახ.1), მაშინ დავუშვათ  $K$  წერტილიდან  $KM$  და  $KP$  პერპენდიკულარები  $AC$  და  $AB$  გვერდებზე. ბისექტრისის თვისებების თანახმად,  $K$  წერტილი თანაბრად არის დაშორებული  $AC$  და  $AB$  გვერდებიდან, ანუ

$|MK|=|PK|$   $\triangle AMK=\triangle APK$  (მართკუთხა სამკუთხედების ტოლობის III ნიშნით). მაშასადამე,  $|AM|=|AP|$ .  $[TK]$  შუამართობია  $[CB]$ -სი. ამიტომ  $|CK|=|BK|$ .  
 $\triangle CMK=\triangle BPK$  (მართკუთხა სამკუთხედების ტოლობის III ნიშნით ( $|CK|=|BK|$ ,  $|MK|=|PK|$ )). მაშასადამე  $|CM|=|BP|$ . საბოლოოდ გვაქვს:  
 $|AC|=|CM|+|AM|=|BP|+|AP|=|AB|$ .  
 ბ) თუ  $K$  წერტილი მდებარეობს  $BC$  გვერდზე (იხ.ნახ.2), მაშინ  $\triangle ABC$ -ში  $[AK]$  ბისექტრისა დაემთხვა მედიანს. ე.ი.  $|AC|=|AB|$ .  
 გ) (იხ.ნახ.3) ა) ვარიანტის ანალოგიურად მივიღებთ:  $|CM|=|BP|$ ;  $|AM|=|AP|$ . საბოლოოდ გვექნება:  $|AC|=|AM|-|CM|=|AP|-|BP|=|AB|$ .  
 ახლა ვახევნოთ,  $AC$  კათეტის სიგრძე ნაკლებია  $|AB|$  ჰიპოტენუზის სიგრძეზე. როგორც ამბობენ მათემატიკოსები, ავაგოთ უარყოფელი მაგალითი.



**აბეზა.** განვიხილოთ მართკუთხა  $\triangle ACB$  ( $\angle ACB = 90^\circ$ ) (იხ.ნახ.4) თუ  $|AB|$ -ზე ავიღებთ რაიმე  $L$  წერტილს, მაშინ ცხადია  $\angle ALC > \angle ABC$  ვინაიდან  $\angle ALC$  არის გარე კუთხე  $\angle CLB$ -სი)  $\angle ABC < \angle ACB$ .  $L$  წერტილის მოძრაობით  $B$ -დან  $A$ -სკენ ცხადია იქნება არსებობის ისეთი  $E \in [AB]$ , რომ  $\angle ACE = \angle AEC$  (მართლაც ასეთი  $E$  მიიღება  $A$  წერტილიდან  $|AC|$  რადიუსით შემოხაზული რკალის  $AB$  გვერდთან გადაკვეთისას), საიდანაც  $|AC|=|AE| < |AE|+|EB|=|AB|$

ცხრილების შესავსებად ვაძლევ 5 წუთს.  
 ამის შემდეგ ჯგუფის წევრებს ვავალებ, გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი მოსაზრებები და ჯგუფის საერთო ნააზრევი გამოაკრან კედელზე ან დაფაზე (5 წთ). თითოეული ჯგუფის წარმომადგენელი მოკლედ მიმოიხილავს თავისი ჯგუფის მუშაობის შედეგს. გაიმართება კამათი, რომელშიც მონაწილეობს მთელი კლასი. ჩემ მიერ დაფაზე გაკრულ ფორმატზე ვაძლავ კლასის ნააზრევი (შეიძლება ისეთიც, რომელმაც ჯგუფში ვერ პოვა მოწონება).

სავარაუდოდ, ცხრილი მიიღებს ასეთ სახეს

(?) თეორემის დამტკიცების ტექსტში გვხვდება		
გეომეტრიული ფიგურები	მათემატიკური ტერმინები	აღრე ნასწავლი თეორემები (თვისებები, ნიშნები)
წრტილი წრფე სიბრტყე მონაკვეთი კუთხე სამკუთხედი ბისექტრისა შუამართობი პერპენდიკულარი	ტოლი კუთხეები მართი კუთხეები ტოლი სამკუთხედები მონაკვეთის სიგრძე სიგრძეთა ჯამი სიგრძეთა სხვაობა მართკუთხა სამკუთხედი	ტოლფერდა სამკუთხედების ნიშნები. მართკუთხა სამკუთხედების ტოლობის ნიშნები. კუთხის ბისექტრისის თვისება. მონაკვეთის შუამართობის თვისება.

კვლავ ვუბრუნდები ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას. დაგეგმვა ასეთია: გაიხსენეთ ცხრილში მოცემული ფიგურების მათემატიკური ტერმინებისა და თეორემების შინაარსი (საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლეთ სახელმძღვანელოთ). ამის შემდეგ, ჯგუფები ერთმანეთს ეჯიბრებიან აღნიშნული საკითხების ცოდნაში, უსვამენ ერთმანეთს კითხვებს, კამათობენ, მსჯელობენ (დრო - 15წთ).  
 ვუბრუნდები ძირითად ამოცანას „(?) თეორემა“.

მოსწავლეებს ვავალებ, გულდასმით წაიკითხონ ჩემ მიერ მათთვის დარიგებული ტექსტი „(?) თეორემა“. დამტკიცება დაყონ საფეხურებად. დამტკიცების თითოეულ საფეხურზე ვადაამოწმონ მტკიცების სისწორე. ჯგუფებისა და კლასის ახრთა შეჯერებით, მოსალოდნელია ასეთი დაყოფა ა) და გ) შემთხვევებისათვის:


- 1)  $[CB]$  შუამართობისა და  $\angle A$ -ს ბისექტრისის გადაკვეთის ( $K$ ) წერტილიდან  $[KM]$  და  $[KP]$  პერპენდიკულარების შესაბამისად  $AC$  და  $AB$  გვერდებზე დაშვება;
- 2)  $\triangle AMK$ -სა და  $\triangle APK$ -ს ტოლობის დამტკიცება;
- 3)  $|CK|$ -სა და  $|BK|$ -ს ტოლობის დამტკიცება;
- 4)  $\triangle CMK$ -სა და  $\triangle BPK$ -ს ტოლობის დამტკიცება;
- 5)  $|CM|$ -სა და  $|BP|$ -ს ტოლობის დამტკიცება;
- 6)  $|AC|$ -სა და  $|AB|$ -ს ტოლობის დამტკიცება.

კვლავ მივმართავ ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას. გთხოვთ, პასუხი გასცეთ კითხვებს:

- 1) თქვენი აზრით, რატომ არის საჭირო  $[CB]$  შუამართობისა და  $\angle A$ -ს ბისექტრისის გადაკვეთის ( $K$ ) წერტილიდან,  $[KM]$  და  $[KP]$  პერპენდიკულარების შესაბამისად,  $AC$  და  $AB$  გვერდებზე დაშვება?
- 2) თქვენი აზრით, რატომ არის საჭირო  $\triangle AMK$ -სა და  $\triangle APK$ -ს ტოლობის დამტკიცება და არის თუ არა რაიმე არასწორი მის მტკიცებაში?
- 3) თქვენი აზრით, რატომ არის საჭირო  $\triangle CMK$ -სა და  $\triangle BPK$ -ს ტოლობის დამტკიცება და არის თუ არა რაიმე არასწორი მის მტკიცებაში?
- 4) 2)-ისა და 3)-ის სისწორიდან გამომდინარე, 1)-ის არასწორობა გვაფიქრებინებს, განხილულია თუ არა ყველა ვარიანტი  $M$  და  $P$  წერტილის მდებარეობისა, შესაბამისად,  $AC$  და  $AB$  წრფეებზე?


მათემატიკა

გამართება კამათი (დრო - 10 წუთი).



ამის შემდეგ, კლასი ადგენს, რომ გამორჩენილია მხედველობიდან ის ფაქტი, რომ  $\angle ABK$  შეიძლება იყოს მახვილი, სინამდვილეში ის ყოველ მართკუთხა სამკუთხედისათვის მოცემული პირობებით არის მახვილი. ეს ადვილი საჩვენებელია, თუ  $\triangle ABC$ -ში  $TK$ -ს გაგაგრძელებთ  $AB$ -ს გადაკვეთამდე  $E$  წერტილში.  $\triangle ACB$ -ში  $TK$ -ს გაგაგრძელებთ  $AB$ -ს გადაკვეთამდე  $F$  წერტილში.  $\triangle CTF = \triangle BTF$  (სამკუთხედების ტოლობის I ნიშნით)  $\Rightarrow |CF| = |BF|$ ,  $\angle FCB = \angle B$ .  $(\angle ACF = 90^\circ - \angle FCB = 90^\circ - \angle B = \angle A = \angle CAF) \Rightarrow |AF| = |CE|$  ე.ი.  $|AF| = |FB|$ .  $\angle CAK = \angle AKF$  (ორ პარალელურ წრფესა და მკვეთს შორის მდებარე შიგა ჯვარედინი კუთხეები)  $\Rightarrow |FK| = |AF|$  ე.ი.  $|FK| = |FB| \Rightarrow \angle FAK < 90^\circ$ , ამიტომ წერტილი ძვეს მონაკვეთზე.

ამის შემდეგ კლასს ვაძლევ დავალებას (ინდივიდუალურად და ჯგუფურად), შესწორებული სახით ჩამოაყალიბონ ამოცანის სახით „?თეორემა“ (დრო - 10 წუთი).



ვთხოვ, 10-ბალიანი სისტემით შეაფასონ: თავიანთი წვლილი ჯგუფის მუშაობაში; თავისი ჯგუფისა და სხვა ჯგუფების მუშაობა (დრო - 2წთ). ამის შემდეგ, ვთხოვ მოსწავლეებს, შეაფასონ გაკვეთილი (რა გაიგეს ახალი, რა მოეწონათ, რა არ მოეწონათ, რა კითხვები დარჩათ უპასუხოდ). დაბოლოს, ვაძლევ დავალებას - ყოველივე ზემოთ ხსენებულის სახელში კიდევ ერთხელ გარჩევასა და გააზრებას.

ზურაბ ალბორგოლაშვილი

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის მათემატიკის მიმართულების ხელმძღვანელი

# ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად


## ჰიდრო და აეროსტატიკა

### ამოცანა 46.

რა ძალით იჭიმება წყალში მცურავი ორი ბურთულის დამაკავშირებელი ძაფი, თუ ზედა ბურთულა წყალში ნახევრადია ჩაძირული. ორივე ბურთულის მოცულობა  $V=10$  სმ<sup>3</sup> და ქვედა ბურთულის მასა  $m_2$  3-ჯერ მეტია ზედა ბურთულის  $m_1$  მასაზე.

### ამოხსნა:

გამოვსახოთ თითოეულ ბურთულაზე მოქმედი ძალები (იხ. სურათი). ამ სურათზე  $\vec{F}_1$  და  $\vec{F}_2$ -ით აღნიშნულია ბურთულაზე მოქმედი ამომგდები ძალები,  $\vec{T}_1$  და  $\vec{T}_2$ -ით ძაფის



დაჭიმულობის ძალები, რომლებიც მოდულით ტოლია და უდრის საძიებელ ძალას -  $T$ -ს. ახლა დავწეროთ ბურთულების წონასწორობის პირობა:

$F_1 = m_1 g + T$  და  $T + F_2 = m_2 g$ . თუ გავითვალისწინებთ, რომ  $m_2 = 3m_1$  და

$$F_1 = \frac{\rho_0 g V}{2}, F_2 = \rho_0 g V. \text{ (აქ } \rho_0 = 1000 \text{ კგ/მ}^3 \text{ წყლის სიმკვრივეა) მივიღებთ:}$$


$$\frac{\rho_0 g V}{2} = m_1 g + T \quad (1), \quad T + \rho_0 g V = 3m_1 g \quad (2),$$

განვსაზღვროთ (1) - დან  $m_1 g$  და ჩავსვათ (2)-ში:

$$T + \rho_0 g V = 3 \left( \frac{\rho_0 g V}{2} - T \right), \text{ საიდანაც } T = \frac{\rho_0 g V}{8} = 0,0125 \text{ ნ.}$$

### ამოცანა 47.

$V=1$  დმ<sup>3</sup> მოცულობის და  $\rho=1600$  კგ/მ<sup>3</sup> სიმკვრივის ცილინდრული ფორმის სხეული ჩამოკიდებულია ძაფზე და ჩაშვებულია სითხეში (იხ.სურათი), რომლის სიმკვრივე სიღრმის მიხედვით იზრდება კანონით:  $\rho(h) = \rho_0 + \beta h$ , სადაც  $\rho_0 = 1000$  კგ/მ<sup>3</sup>,  $\beta = 100$  კგ/მ<sup>4</sup>. ვიპოვოთ ძაფის დაჭიმულობის ძალა  $T$ , თუ სხეულის ზედა წახნაგი იმყოფება  $h_1 = 1$  მ სიღრმეზე, ქვედა -  $h_2 = 2$  მ-ზე.



### ამოხსნა

სხეულზე მოქმედებს ვერტიკალურად ქვევით მოქმედი სიმძიმის ძალა ( $mg$ ) და მისი გამაწონასწორებელი ვერტიკალურად ზევით მოქმედი ამომგდები ( $\vec{F}_1$ ) და ძაფის დრეკადობის ძალები. ეს უკანასკნელი მოდულით ძაფის დაჭიმულობის ძალის ტოლია. სხეულის წონასწორობის გამო  $T + F = mg$ , საიდანაც  $T = mg - F$  (1). აქ  $m = \rho V$ ,  $F = \rho_{\text{ს.ა.}} gV$ . ამომგდები ძალის ფორმულაში  $\rho_{\text{ს.ა.}}$  ტოლი იქნება  $h_1$  და  $h_2$  სიღრმეებზე სიმკვრივების საშუალო არითმეტიკულის, რადგან სითხის სიმკვრივე სიღრმის პირდაპირპროპორციულად იცვლება:

$$\rho = \frac{\rho_1 + \rho_2}{2} = \frac{\rho_0 + \beta h_1 + \rho_0 + \beta h_2}{2} = \rho_0 + \frac{(h_1 + h_2)\beta}{2}.$$

ამ მნიშვნელობების (1) ფორმულაში ჩასმით მივიღებთ:

$$T = \rho V g - \left( \rho_0 + \frac{(h_1 + h_2)\beta}{2} \right) g V \text{ და საბოლოოდ:}$$

$$T = \left( \rho - \rho_0 - \frac{(h_1 + h_2)\beta}{2} \right) g V = (1600 - 1000 - 1.5 \cdot 100) \cdot 10 \cdot 10^{-3} = 4.5 \text{ ნ.}$$

### ამოცანა 48.

ალუმინის ღრუ ბურთულა ჩამოკიდეს დინამომეტრზე და ჩაუშვებს ჯერ წყალში, შემდეგ ბენზინში. წყალში მისი ჩვენება აღმოჩნდა  $F_1 = 0,24$  ნ, ბენზინში -  $F_2 = 0,33$  ნ. ვიპოვოთ სიღრუის მოცულობა ( $V_0$ ), თუ ალუმინის სიმკვრივე  $\rho = 2700$  კგ/მ<sup>3</sup>, წყლის -  $\rho_1 = 1000$  კგ/მ<sup>3</sup>, ბენზინის -  $\rho_2 = 700$  კგ/მ<sup>3</sup>.

### ამოხსნა:

სიღრუის მოცულობა ტოლია ბურთულისა და ალუმინის მოცულობების სხვაობის:  $V_0 = V - V_1$  (1), სადაც  $V_1$  ალუმინის მიერ დაკავებული მოცულობაა. წყალში დინამომეტრის ჩვენება:  $F_1 = mg - F_{a1}$ , (2) ბენზინში -  $F_2 = mg - F_{a2}$  (3). ამ ფორმულაში  $mg$  ბურთულის სიმძიმის ძალაა,  $F_{a1}$  ბურთულაზე წყლის მხრიდან მოქმედი ამომგდები ძალა:  $F_{a1} = \rho_1 g V$ ,  $F_{a2}$  ბენზინის მხრიდან მოქმედი ამომგდები ძალა:  $F_{a2} = \rho_2 g V$ . თუ ამ გამოსახულებებს შევიტანთ (2) და (3) ფორმულაში, მივიღებთ:  $F_1 = mg - \rho_1 g V$  (4) და  $F_2 = mg - \rho_2 g V$  (5). (5)-ს გამოვაკლოთ (4):  $F_2 - F_1 = (\rho_1 - \rho_2) g V$ . ამ ფორმულიდან გამვიანგარიშოთ  $V$ :

$$V = \frac{F_2 - F_1}{g(\rho_1 - \rho_2)} = 3 \cdot 10^{-5} \text{ მ}^3. \text{ (4) ფორმულიდან გამვიანგარიშით ბურთულის მასა:}$$

$$m = \frac{F_1 + \rho_1 g V}{g} = 0,054 \text{ კგ} \text{ და გავიგოთ ალუმინის მიერ დაკავებული მოცულობა:}$$

$$V_1 = \frac{m}{\rho} = 2 \cdot 10^{-5} \text{ მ}^3. \text{ საბოლოოდ, სიღრუის მოცულობისთვის მივიღებთ:}$$

$$V_0 = 3 \cdot 10^{-5} - 2 \cdot 10^{-5} = 10^{-5} \text{ მ}^3 = 10 \text{ სმ}^3.$$

### ამოცანა 49.

$m=2$  კგ მასის და  $V=1$  დმ<sup>3</sup> მოცულობის სხეული იმყოფება მტკნარ ტბაში  $h=5$  მ სიღრმეზე. რა მინიმალური მუშაობა უნდა შესრულდეს სხეულის წყლის ზედაპირიდან  $H=2$  მ სიმაღლეზე ასატანად? წყლის წინააღმდეგობის და ჰაერის მხრიდან მოქმედი ამომგდები ძალა უგულებელვყოთ.

### ამოხსნა:

წყლის შიგნით სხეულის ვერტიკალურად ზევით თანაბრად გადაადგილებაზე მუშაობას ასრულებს ძალა, რომელიც მოდულით ტოლია სიმძიმის და ამომგდები ძალების ტოლქმედის:  $F_1 = mg - \rho g V$ , სადაც  $\rho$  წყლის სიმკვრივეა. წყლიდან ამოტანის შემდეგ სხეულზე მოქმედებს მხოლოდ სიმძიმის ძალის მოდულის ტოლი ძალა:  $F_2 = mg$ . ამიტომ 5 მ სიღრმეიდან წყლის ზედაპირიდან 2 მ სიმაღლეზე ასატანად შესრულებული მინიმალური მუშაობა ტოლი იქნება:  $A = (mg - \rho g V)h + mgH = 50 + 40 = 90$  ჯ. იგივე შედეგს მივიღებთ, თუ მუშაობას გავუტოლებთ სხეულისა და წყლის პოტენციური ენერგიების ცვლილებას: სხეულის ზევით ატანისას იზრდება სხეულის პოტენციური ენერგია სიდიდით  $mg(h+H)$  და მცირდება იმ მოცულობის წყლის პოტენციური ენერგია, რომლის ადგილსაც სხეული იკავებს ( $-\rho g V h$ ). ამიტომ მინიმალური მუშაობა ანალოგიურად გამოისახება:  $A = mg(h+H) - \rho g V h$ , რაც ანალოგიურია ზემოთ მიღებული გამოსახულების.

თეიმურაზ ბაჩრაილაძე

აკად. ი. ვეჯუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი, დირექტორის მოადგილე

საატესტაციო გამოცდები

ბთავაზოტო საატესტაციო გამოცდების ტესტების ნიმუშებს ინოვაციური განათლების ცენტრის „კალამი“ მიერ მომზადებული ქრებულეზიდან

ფიზიკა

შემდგენელი - თამარ ქელიძე

1. სხეულმა გზის პირველი ნახევარი გაიარა 16მ/წმ სიჩქარით, მეორე ნახევარი - 18 მ/წმ სიჩქარით. გამოთვალეთ მთელ გზაზე მოძრაობის საშუალო სიჩქარე.

- ა. 30მ/წმ; ბ. 24მ/წმ; გ. 20მ/წმ; დ. 22მ/წმ.

2. ვერტიკულურად პირდაპირ იფრინა 4 კმ, შემდეგ შემობრუნდა 90°-ით და კიდევ იფრინა 3 კმ. იპოვეთ ვერტიკულურის მიერ გავლილი მანძილი.

- ა. 10კმ; ბ. 12კმ; გ. 5კმ; დ. 7კმ.

3. 70 კგ მასის მქონე პარაშუტისტი, პარაშუტის გახსნის შემდეგ, მოძრაობს თანაბრად. რას უდრის ჰაერის წინააღმდეგობის ძალა? (g ≈ 10მ/წმ²)

- ა. 500ნ; ბ. 800ნ; გ. 550ნ; დ. 700ნ.

4. ადამიანის თვალისგან 5წმ-ით დაშორებული საგნის გამოსახულება ბადურაზე მიიღება:

- ა. ნამდვილი, პირდაპირი; ბ. ნამდვილი, შებრუნებული; გ. წარმოსახვითი, შებრუნებული; დ. წარმოსახვითი, პირდაპირი.

5. დენის ძალის ერთეულია:

- ა. კვმ; ბ. კ/წმ; გ. ომი/ვ; დ. ომი.ვ.

6. წყალში მოტივტივე ერთგვაროვანი სხეული ჩაძირულია თავისი მოცულობის 3/4-ით. იპოვეთ სხეულის მასალის სიმკვრივე.

- ა. 700კგ/მ³; ბ. 750კგ/მ³; გ. 600კგ/მ³; დ. 650კგ/მ³.

7. დალაგეთ ლურჯი, მწვანე, ნარინჯისფერი სინათლე მინაში მათი გარდატეხის მაჩვენებლის კლების მიხედვით.

- ა. მწვანე, ლურჯი, ნარინჯისფერი;

ბ. ნარინჯისფერი, ლურჯი, მწვანე; გ. ნარინჯისფერი, მწვანე, ლურჯი; დ. ლურჯი, მწვანე, ნარინჯისფერი;


8. ტოლი მასის მქონე ორი სხეულის სრული იმპულსი 0-ის ტოლია. ეს ნიშნავს, რომ ეს სხეულები:

- ა. აუცილებლად უძრავია; ბ. მოძრაობს ტოლი და საწინააღმდეგოდ მიმართული სიჩქარეებით; გ. მოძრაობს მოდულით ტოლი და ურთიერთსაწინააღმდეგო სიჩქარეებით; დ. უძრავია ან მოძრაობს მოდულით ტოლი ურთიერთმართობული სიჩქარეებით.

9. ტვირთის 5 მეტრ სიმაღლეზე ატანისას შესრულდა 30ჯ მუშაობა. რისი ტოლია ტვირთის მასა?

- ა. 5კგ; ბ. 6კგ; გ. 1,2კგ; დ. 0,6კგ.

10. რომელი ნათურა გაანათებს K2 ჩამრთვლის ჩართვის შემდეგ?



- ა. არც ერთი ნათურა არ გაანათებს; ბ. ორივე ნათურა; გ. I ნათურა; დ. II ნათურა.

პასუხები:

- 1. ბ 3. დ 5. ბ 7. გ 9. დ 2. დ 4. ბ 6. ბ 8. დ 10. ბ

ქიმია

შემდგენელი - ია ბურჯუკური

1. რომელი მწკრივი აერთიანებს მხოლოდ ოქსიდებს?

- ა) SO2, SiO2, H3PO4, NaOH; ბ) Fe2O3, CuO, P2O5, NO; გ) H2SO3, CO2, Ca(OH)2, NaCl; დ) N2O5, BaO, HNO3, KOH;

2. იპოვეთ შესაბამისობა ქიმიურ ფორმულასა და ნაერთის ტიპს შორის:

- მჟავა ოქსიდი MgO ფუძე ოქსიდი CO ამფოტერული ოქსიდი K2O2 პეროქსიდი ZnO მარილარწარმოქმნელი ოქსიდი N2O5

3. მარილარწარმოქმნელი ოქსიდებია:

- ა) CO, Na2O; ბ) CO2, P2O5; გ) SO, Al2O3; დ) CO, N2O.

4. რომელ ოქსიდს ეწოდება ფუძე ოქსიდი

- ა) ოქსიდს, რომელიც იხსნება წყალში;

ბ) ოქსიდს, რომელსაც შეესაბამება ფუძე;

გ) ოქსიდს, რომელიც არ იხსნება წყალში;

დ) ოქსიდს, რომელსაც შეესაბამება მჟავა.

5. მხოლოდ ფუძე ოქსიდები მოცემულია მწკრივში

- ა) CaO, Na2O, MgO; ბ) CO2, NaCl, Na2SO4; გ) SO3, P2O5, Al2O3; დ) SiO2, H2SO3, MgO.

6. რომელ ოქსიდს ეწოდება მჟავა ოქსიდი

- ა) ოქსიდს, რომელიც იხსნება წყალში; ბ) ოქსიდს, რომელსაც შეესაბამება ფუძე; გ) ოქსიდს, რომელიც არ იხსნება წყალში; დ) ოქსიდს, რომელსაც შეესაბამება მჟავა.

7. რომელია მჟავა ოქსიდის ფორმულა?

- ა) Na2O; ბ) CaO; გ) SiO2; დ) CuO.

8. მხოლოდ მჟავა ოქსიდები მოცემულია მწკრივში

- ა) CO2, N2O, MgO; ბ) CH4, NaCl, Na2SO4; გ) SO3, P2O5, CO2; დ) SiO2, H2SO4, MgO.

9. რომელ რიგშია მხოლოდ წყალში ხსნადი ოქსიდები?

I. CO2, K2O, P2O5, SO3. II. Na2O, CuO, SiO2, P2O5.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ II;

გ) I და II; დ) არც ერთში.

10. რომელ რიგშია მხოლოდ წყალში უხსნადი ოქსიდები?

I. CuO, Fe2O3, SiO2, Al2O3. II. Ag2O, ZnO, SiO2, FeO.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ II;

გ) I და II; დ) არც ერთში.

პასუხები:

- 1. გ) 2. გ) 3. ა) 4. ა) სისტემატური ნომენკლატურის მიხედვით 5. პენტანი; 6. ა) 7. დ) 8. ბ) 9. ა) 10. გ) ლეკულური ფორმულა აქვთ იზომერებს წარმოადგენენ. 1), 2), და 4) ფორმულაა C8H18, ხოლო 3) C9H20.

ისტორია

შემდგენელი - შოთა მალაზონია

1. პირველყოფილი ადამიანის იარაღი მზადდებოდა:

- ა) ქვისგან ბ) ქვის, ძვლის, ხისა და ობსიდიანისგან გ) ქვისა და ხისგან დ) ქვისა და ძვლისგან

2. კაცობრიობის ისტორიის პირველ პერიოდს ეწოდება:

- ა) ქვის ხანა ბ) ბრინჯაოს ხანა გ) სპილენძის ხანა დ) რკინის ხანა

3. რამდენ პერიოდად იყოფა ქვის ხანა?

- ა) ორ ბ) ოთხ გ) სამ დ) ხუთ

4. ძველი ქვის ხანას ეწოდება:

- ა) ენეოლითი ბ) ნეოლითი გ) მეზოლითი დ) პალეოლითი

5. რამდენ პერიოდად იყოფა პალეოლითი?

- ა) ორ ბ) ოთხ გ) ხუთ დ) სამ

6. ჩამოთვლილთაგან, რომელია ყველაზე ხანგრძლივი ხანა?

- ა) ქვედა პალეოლითი ბ) ზედა პალეოლითი გ) ნეოლითი დ) მეზოლითი

7. როდის იწყება ზედა პალეოლითი საქართველოში?

- ა) 40-30 ათასი წლის წინ ბ) 60-50 ათასი წლის წინ გ) 35-25 ათასი წლის წინ დ) 20-15 ათასი წლის წინ

8. როდის დამთავრდა ზედა პალეოლითი საქართველოში?

- ა) 9-7 ათასი წლის წინ ბ) 15-13 ათასი წლის წინ გ) 14-12 ათასი წლის წინ დ) 12-10 ათასი წლის წინ

9. რომელ ათასწლეულებს მოიცავს მეზოლითი საქართველოში?

- ა) XV-XIII ათასწლეულებს ბ) XIV-XII ათასწლეულებს გ) XII-VIII ათასწლეულებს დ) XX-XV ათასწლეულებს

10. რომელ ხანაში ჩამოყალიბდა დღევანდელი გეოგრაფიული ლანდშაფტი საქართველოში?

- ა) ქვედა პალეოლითი ბ) ზედა პალეოლითი გ) მეზოლითი დ) ნეოლითი

ტესტების პასუხები:

- 1-ბ; 2-ა; 3-გ; 4-დ; 5-დ; 6-ა; 7-ა; 8-დ; 9-გ; 10-გ.

ინგლისური

შემდგენელი - ასმატ როგავა

1. I can't find my gloves anywhere where \_\_\_\_\_ they?

- a) is c) was b) are d) were

2. I like his furniture, but I think the furniture \_\_\_\_\_ expensive.

- a) are c) is b) has d) were

3. Chess \_\_\_\_\_ very popular in the world.

- a) is c) had been b) has been d) will be

4. Physics \_\_\_\_\_ the study of natural laws

- a) have been c) is b) shall be d) will be

5. People \_\_\_\_\_ starving in some parts of Africa

- a) were c) has been b) are d) had been

6. Five miles \_\_\_\_\_ not a long way to drive to school

- a) are c) have been b) is d) were

7. He combed \_\_\_\_\_ hair and went out

- a) a c) the b) - d) an

8. He found \_\_\_\_\_ hair on the coat

- a) a c) - b) the d) an

9. Can you give me \_\_\_\_\_ advice?

- a) a c) some b) an d) -

10. Maths \_\_\_\_\_ my favourite subject at school

- a) are c) were b) is d) had been

Answers:

- 1. b) are 2. c) is 3. a) is 4. c) is 5. b) are 6. b) is 7. b) - 8. a) a 9. c) some 10. b) is

საუბრაბი ბიზლიაზა

ორბანიზებული ცხოვრების დასაწყისი



რუბრიკას უძღვება მარია ტაძთაძე

„დაიძრა მწყობრად ისრაელის მთელი საზოგადოება სინაის უდაბნოდან, უფლის ბრძანებისამებრ, და დაიბანაკეს რეფიდიმში, სადაც ხალხისთვის სასმელი წყალი არ იპოვებოდა“ (გამ.17:1). კვლავ დაიწყო ხალხმა უკმაყოფილო დრტივინა. „შესჩიოდა ხალხი მოსეს და ეუბნებოდა: მოგვეცი სასმელი წყალი!.. რისთვისაა ამოგვიყვანე ეგვიპტიდან, თუ წყურვილით დაგვხოცავდი ჩვენც, ჩვენს ბავშვებსაც და საქონელს?“ (გამ.17:2-3). მოსე თვინიერად უსმენდა მათ და ცდილობდა დაემშვიდებინა. თან ასხენებდა, რომ უფალი მფარველობს და არ მიატოვებს მათ გასაჭირში. ბოლოს მან უფალს მიმართა. „ასე შეჰქალადა მოსემ უფალს: რა ვუყო ამ ხალხს? ცოტაც და ჩამქოლავენ“ (გამ. 17:4).

„ჩაიარე ხალხის წინ, და თან ისრაელის უხუცესთაგანნი იახლე; ხელში გეჭიროს კვერთხი, რომელსაც სცემდი ნილოსს, და იარე. მე ვიდგები შენს წინ იქ, ხორების კლდეზე; დაჰკარი კლდე და გამოვა წყალი, და დალევს ხალხი...“ (გამ.17:5-6). ასეც გააკეთა მოსემ ისრაელის უხუცესთა თვალწინ. კლდიდან სასწაულებრივად წამოვიდა სუფთა წყლის ნაკადი. ამით უფალმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა ხალხი, რომ მის „მაგარ ხელს“ ძალუძს არა ერთი სასწაული. კვლავ იხილა მორიგი სასწაული ხალხმა, ჯერ გაოცდა და გაიხარა, ხოლო შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ეჭვის ჭია შეუჩნდა და მომხდარი შემთხვევითობას მიაწერა. ამ ადგილს მოსემ „ისრაელიანთა შულის გამო და იმის გამო, რომ უფალი გამოცადეს...“ (გამ.17:7), სახელად მასა და

მერბა (გამოცდა და ქიშპი, ცილობა) უწოდა. მოსეს წინააღმდეგ გამოხატული უკმაყოფილება წყურვილითა და დაღლილობით პროვოცირებული ადამიანური სისუსტის ნიშანი იყო, მაგრამ ისრაელიანების უფლისადმი უნდობლობა ყოველგვარ გონივრულ საზღვრებს სცილდებოდა და უფლის გამოცდის სურვილს სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა. ამრიგად, ხალხის გონებაში უფლის რწმენას წარმართული აზრი დაეპატრონა. გაჩნდა საშიშროება ხალხის გულწრფელი რწმენა წარმართობის ფინის მორჩილებაში გადასულიყო, საჭირო გახდა ხალხი გამოფხიზლებულიყო და გულისყური კვლავ ღმერთისკენ მიემართა. სწორედ ამიტომ ებრაელი ხალხის წინაშე სასჯელად უცხო, წარმართი ტომი აღიმართა. დაწერილია: „მოვიდა ყამალეკი და შეებრძოლა ისრაელს რეფიდიმში“ (გამ.17:8). ყამალეკი ელთა ტომი ესაგვის შთამომავლები იყვნენ (დაბ.36:12). ველური წარმართები თავს დაესხნენ ისრაელიანებს და ბოლოს მომავალნი და სუსტნი დაამარცხეს.

გადმოცემის თანახმად, ესაგვა იაკობისა და მისი შთამომავლობის მიმართ თავისი სიძულვილი სწორედ ყამალეკს, თავის ვაჟს უანდერძის ასრულების საშუალება გამოუჩნდათ.

მოსემ დაინახა, რომ ხალხის რწმენა შერყეულიყო, ამიტომაც იხმო იესო ნავეს ძე და დაავალა: „...გამოარჩიე ვაცები და გადი ყამალეკთან საბრძოლველად. ხვალ ბორცვის თავზე ვიდგები და ღვთიერი კვერთხი მეჭირება ხელში“ (გამ.17:9). ისე მოიქცა იესო, როგორც უბრძანა მოსემ. ხოლო მოსე, არონი და ხური იქვე მდებარე ბორცვზე ავიდნენ. აღაპყრო მოსემ რწმენისა და ერთგულებისა. გულმხურვალედ მოცულობდა და, როცა მისი რწმენა და სულის ძახილი

წრფელი და მიზანმიმართული იყო, ძლევდა ისრაელი მტერს, ხოლო როცა შესუსტდებოდა და დამძიმებული ხელები დაბლა ეშვებოდა, ყამალეკი მოდიოდა შეტევაზე.

ბოლოს „დაუძიმდა ხელები მოსეს; მოუტანეს ქვა, ქვეშ დაუდეს და ჩამოჯდა ქვაზე მოსე. ხოლო არონსა და ხურს მისი ხელები ეჭირათ, ერთს ერთი მხრიდან, მეორეს მეორე მხრიდან. არ ჩამოშვებია ხელები მზის ჩასვლამდე“ (გამ.17:12).

ყამალეკიელებთან ბრძოლა სიმბოლურად ურწმუნოებასთან ბრძოლას ნიშნავდა. ამიტომაც მოსემ მას ლოცვა და უფლისაკენ აპყრობილი, იმედითა და სიყვარულით აღსავსე სული დაუპირისპირა. სწორედ უფლის რწმენამ და სიყვარულმა გამოიღო შედეგი და სძლია იესომ და მისმა ხალხმა ყამალეკს. „უთხრა უფალმა მოსეს: სამახსოვროდ ჩასწერე ეს ნიგნში და ჩააგრო იესოს, რომ აღვევი ყამალეკის სახსენებელს ცისქვეშეთიდან. ააგო მოსემ სამსხვერპლო და უწოდა სახელად ადონაი-ნისი (უფალი – ალაში ჩემი)“ (გამ.17:13-15).

„შეიტყო მიდიანელმა მღვდელმა ითრომ, მოსეს სიმამრმა, ყველაფერი, რაც გაუკეთა ღმერთმა მოსეს და ისრაელს, თავის ერს, როდესაც გამოჰყავდა უფალს ისრაელი ეგვიპტიდან“ (გამ.18:1), გაემართა ხორებისაკენ და მიჰგვარა მოსეს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი. შეგახსენებთ, რომ ითროს მოსე თავდაპირველად ეგვიპტელი ეგონა. საინტერესოა აგრეთვე მის ქვეყანაში მისი ავტორიტეტის საკითხიც. ის მღვდელია, თუმცა არც თუ დიდი პატივისცემით სარგებლობს (მიდიანელი მწყემსები უდიდებდნენ ექცვიან მის ასულს), რაც უცხოლოდ მიგვახსენებს, რომ ითრო მარტო მთელ იმ მხარეში – ქემმარტი უფლის ერთგული და მომლოდინე.

მიეგება მოსე სიმამრს, თავყვანი სცა და გადაკოცნა. მოიკითხეს ერთმანეთი და შევიდნენ კარავში. უამბო მოსემ მას ყველაფერი, რაც

ისრაელის გამო დამართა უფალმა ფარაონსა და ეგვიპტელებს. უამბო იმ სირთულეებით აღსავსე გზის შესახებ, რომელიც, ღვთის მადლით, ეგვიპტელთა ტყვეობიდან დახსნილებმა ხორების მთამდე გაიარეს.

„თქვა ითრომ: კურთხეულია უფალი, რომელმაც გიხსნათ ეგვიპტელთა და ფარაონის ხელიდან, რომელმაც იხსნა ერი ეგვიპტელთა მონობისგან. ახლა კი ვიცი, რომ ყველა ღმერთზე დიდია უფალი, რადგან იხსნა ხალხი ეგვიპტელთა ხელიდან, როდესაც მზვობობდნენ მასზე“ (გამ.18:10-11). არსებობს გადმოცემა იმის შესახებ, რომ ითრო უკმაყოფილო იყო თავისი ხალხის რწმენის სისუფთავით და მთელი ცხოვრება ქემმარტი უფალს ეძიებდა. ის რწმენის პატრიარქის, აბრაამის ნიას დაუბრუნდა და მისი მიმდევარი გახდა. ქემმარტიების მადიებელმა ითრომ დიდად გაიხარა, რადგან იპოვა უფლისკენ საგალი ქემმარტი გზა. ამიტომაც მიუტანა ღმერთს აღსავლენი მსხვერპლი და საკლავი. შეიკრიბნენ აარონი და ისრაელის მთელი უხუცესობა „...რაათა უფლის წინაშე ეტყვიანათ პური მოსეს სიმამრთან ერთად“ (გამ.18:12).

მეორე დღეს, მოსე თავის ჩვეულ საქმეს დაუბრუნდა. ის გულმოდგინედ ისმენდა მასთან მოსული ხალხის პრობლემებს და უფლის ნებას უცხადებდა მათ. უამრავი საჩივარი, განჩინება და სხვა ყოფილი, წერილ-წერილი საქმიანობა ბევრ დროსა და ძალას ართმევდა: „...დიდიდან საღამომდე იდგა ხალხი მოსეს წინაშე“ (გამ.18:13). მოსეს სიმამრმა ყველაფერი ეს კარგად დაინახა და გოცხებულმა ჰკითხა მას: „როგორ ექცევი ხალხს? რატომ ზიხარ მარტო, როცა მთელი ხალხი დიდიდან საღამომდე ფეხზე დგას შენს წინაშე?“ (გამ.18:14). მოსემ აუხსნა სიმამრს, რომ ხალხი მასთან ღვთის ნების საკითხავად, აგრეთვე სხვა ყოფილი საქმეებზე განჩინების მოსასმენად დადის: „როცა რაიმე

საქმე გაუჩნდებათ, ჩემთან მოდიან და მეც განვსჯი მათ სამართალს, ვუცხადებ ღვთის წესებსა და რწულს“ (გამ.18:15-16).

მაშინ ითრომ მოსეს მეტად სასარგებლო რჩევა მისცა. უთხრა სიმამრმა მოსეს: „...იყავი ხალხის შუამავალი ღმერთთან და წარუდგინე ღმერთს მათი საჩივრი. ასწავლე მათ წესები და რწული, უჩვენე გზა, რითაც უნდა იარონ, და საქმეები, რაც უნდა აკეთონ. გამოახე ერში მაგარი ხალხი, ღვთისმომოშინი, ანგარების მოძულენი, წრფელი ხალხი და ათასისთავებად, ასისთავებად, ორმოცდაათისთავებად და ათისთავებად დაუდგენენ ერს. მათ განსაჯონ ერი ყოველ დროს; დიდი საქმეები შენ მოგახსენონ, ხოლო წვრილმანი თავად გადაწყვიტონ, შემოგვევლონ, რომ შეგიმსუბუქედეს ტვირთი. თუ ასე მოიქცევი, და ღმერთიც მოგცემს დარიგებებს, მაშინ გაუძლებ და ეს ხალხიც მშვიდობით დაბრუნდება თავის ადგილზე“ (გამ.18.19-23). მოისმინა მოსემ თავისი სიმამრის რჩევა და შეასრულა კიდევ. მან ხალხის მართვის პასუხისმგებლობა თანაბრად გადაანაწილა წრფელ, ღვთისმომოშინი, უანგარო ადამიანებზე. გამოარჩია „მაგარი ხალხი“ და დანიშნა ისინი ერის თავკაცებად. მოსედან წინასწარმეტყველური ნილი თითოეულ მათგანზე გადავიდა. მოგვიანებით, როგორც რიცხვთა ნიგნშია (11) გადმოცემული, ამგვარი უფლებამოსილება ისრაელის საზოგადოების სამოცდაათ უხუცესს გაუნაწილდა. „სჯიდნენ ისინი ერს ყოველ დროს; მძიმე საქმეს მოსეს მოახსენებდნენ, ხოლო წვრილმან საქმეებს თავად წყვეტდნენ“ (გამ.18:26).

საზოგადოების ასეთი ორგანიზებული დაყოფა, მმართველის თვალსაზრისით, ბევრ პრობლემას უხსნიდა მოსეს. ამეიერიდან, ერს თვითორგანიზების ელფერი დაედო, მის ცხოვრებაში ახალი, უფრო მწყობრი და მოწესრიგებული ეტაპი დაიწყო.

ინფორმაცია

კულტურული კოქტეილი



მოზრძანდით და დააგემოვნეთ „კულტურული კოქტეილი“! – ასე უპატიჟებოდა ახალგაზრდული ასოციაცია „დრონი“ საზოგადოების წარმომადგენლებს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში – სკრაში გამართულ ინტერკულტურულ ღონისძიებაზე, რომლის ფარგლებშიც მოეწყო სხვადასხვა კულტურათა პრეზენტაცია (საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია, ავსტრია, ლიტვა, შვედეთი, პოლონეთი, საქართველო და იტალია), ნაციონალური კერძების დაგემოვნე-

ბა, ცეკვებისა და სიმღერების წარმოდგენა, ეროვნული თამაშები და სწავლება.

„კულტურული კოქტეილის“ „დეგუსტაცია“ ხალისიანად წარიმართა, უმთავრესი ადგილი დაეთმო ტალანტ-შოუს, რომელიც სხვადასხვა წარმოდგენას აერთიანებდა. ყველა ბავშვს მიეცა შესაძლებლობა, აუდიტორიისთვის საკუთარი ნიჭი და ორიგინალურობა წარმოედგინა.

ღონისძიების უმთავრესი მიზანი იყო სოციალურად და კულტურულად განსხვავებული ადამიანების

შეხვედრა, გაცნობა, დაახლოება და ცრურწმენების დამარცხება. მიზნის მიღწევა ძნელი არ იყო, რადგან ეს დღე მართლაც დაახლოების, გამოცდილების გაზიარების, ერთმანეთის უკეთ გაცნობის, მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენის არაჩვეულებრივი შესაძლებლობა აღმოჩნდა.

„კულტურული კოქტეილის“ მთავარი ორგანიზატორი იყო ახალგაზრდული ასოციაცია „დრონი“, მთავარი მხარდამჭერი – თბილისის №161 საჯარო სკოლა.

მარინა ბენიძე



იურისტის კონსულტაცია

საშემოსავლო გადასახადზე რა შედეგითი სარგებლობს პედაგოგი, რომელიც ცხოვრობს მაღალმთიან რაიონში და ჰყავს 4 ან მეტი შვილი?

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კმაყოფილება 18 წლამდე ასაკის სამი ან სამეტი მეტი შვილი) მიერ აღნიშნულ რეგიონში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე, ხოლო მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ ერთ ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფილება 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი), კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალზე გადასახადი საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50 პროცენტით.

რა წესით ხდება საჯარო სკოლის პედაგოგის წარდგენა სახელმწიფო ჯილდოზე (ორდენზე და მედალზე)?

ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში განსაკუთრებული პირადი წვლილის აღსანიშნავად დაწესებულია საქართველოს სახელმწიფო ჯილდოები - ორდენები და მედალები. გადაწყვეტილებას ორდენებითა და მედალებით დაჯილდოების შესახებ იღებს საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების მხოლოდ კონკრეტული დამსახურებისათვის. დაუშვებელია დაჯილდოება მხოლოდ ნამსახური წლების ან საიუბილეო თარიღის გამო.

საქართველოს ორდენებითა და მედალებით დაჯილდოება ხდება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრის, მინისტრის, სახელმწიფო მინისტრის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის, საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მთავრობების ხელმძღვანელების, საქართველოს მთავარი პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის, საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების უფროსის, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის, ქ. თბილისის მერის, აგრეთვე სახელმწიფო ქონებაზე დაფუძნებული იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის წარდგინებით, რომელსაც არ ჰყავს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო.

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შუამდგომლობას აღძრავს ის დაწესებულება, რომელშიც მუშაობს დასაჯილდოებელი პირი ან ის ორგანო, რომლის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზეც ცხოვრობს იგი.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურს, დაჯილდოების ფურცელთან ერთად, უგზავნის სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (რეგისტრაციის ადგილის მითითებით) და პირის მომსახურე ბანკის (ფილიალის) მიერ დადასტურებულ ცნობას ბანკის (ფილიალის) რეკვიზიტებისა და პირის ანგარიშის ნომრის მითითებით - თუ შესაბამისი სახელმწიფო ჯილდოსათვის გათვალისწინებულია ერთდროული ფულადი პრემიის გაცემა, ხოლო სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენის შემთხვევაში - აგრეთვე სამკვიდრო მოწმობის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამონმებულ ასლს.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური განიხილავს წარმოდგენილ მასალებს და მათი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენილი პირის დაჯილდოების თაობაზე შესაბამის წინადადებებსა და სამართლებრივი აქტის პროექტს.

სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენილი პირის დაჯილდოება ხდება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

დაჯილდოებულ პირს ჯილდოს და შესაბამის მოწმობას სახელმწიფო ვითარებაში გადასცემს საქართველოს პრეზიდენტი ან მისი დაავლებით შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელი ან სხვა ოფიციალური პირი. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოების შემთხვევაში ჯილდო გადაეცემა დაჯილდოებულის ოჯახს.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახურის მიერ დაჯილდოების ცერემონიისათვის ჯილდოს უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის შესახებ ივსება სააღრიცხვო ბარათი, ხოლო დაჯილდოებული პირისათვის ჯილდოს გადაცემის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ჯილდოს გადამცემი პირი და ერთ თვეში ბარდგება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურს.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახური, დაჯილდოებულ პირზე ერთდროული ფულადი პრემიის გაცემის მიზნით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის შემდეგ დოკუმენტაციას:

- ა) დაჯილდოების შესახებ სამართლებრივი აქტის ასლს;
- ბ) დაჯილდოებული პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს რეგისტრაციის ადგილის მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- გ) დაჯილდოებული პირის მომსახურე ბანკის (ფილიალის) მიერ დადასტურებულ ცნობას, ბანკის (ფილიალის) რეკვიზიტებისა და პირის ანგარიშის ნომრის მითითებით;
- დ) სამკვიდრო მოწმობის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამონმებულ ასლს (სიკვდილის შემდეგ დაჯილდოების შემთხვევაში).

სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოებულ პირებს უფლება აქვთ კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად ატარონ ჯილდოები ან მათი აღმნიშვნელი ნიშნები.

საქართველოს პრეზიდენტის №653 ბრძანებულების თანახმად, განათლების სფეროში განსაკუთრებული პიროვნული წვლილისათვის, მათ შორის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ან მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების მიერ განხორციელებულ პროგრამებში ან ორგანიზებულ კონკურსებში მონაწილეობის ნაშთებისათვის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთათვის დაწესებულია ნოდება „წარმატებული მასწავლებელი“. „წარმატებული მასწავლებლის“ ნოდებისათვის დაწესებულია სპეციალური ნიშანი, შესაბამისი სიგელი და ერთჯერადი ფულადი პრემია 300 ლარის ოდენობით, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელს გადაეცემა „წარმატებული მასწავლებლის“ ნოდების მინიჭების საფუძველზე. გადაწყვეტილებას „წარმატებული მასწავლებლის“ ნოდების მინიჭების თაობაზე იღებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შუამდგომლობის საფუძველზე.

თამარ ავალიანი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი



2012 წლის 28 მარტს, სასწავლო პროგრამით, ახალციხის №5 საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეები (კლასის ხელმძღვანელები:

ლია აწყურელი, ლეილა მღებრიშვილი, რიტა კირკიტაძე, მარინა ჯვარიძე, თეა ივანიძე, ხათუნა ჯანაშვილი) ეწვივნენ პურის საცხობ თ-

ნეს, სადაც პატარები გაეცნენ პურის ცომის მოზელა-გამოცხობის ტექნოლოგიას. ინტერესით აკვირდებოდნენ პურის გამოცხობის პროცესს.

საცხობის მენეჯერმა პატარებს, ლექციის სახით, საუბარი ჩაუტარა საქართველოში გავრცელებული უნიკალური ხორბლის ჯიშების შესახებ, ხორბლიდან ფქვილის მიღების ტექნოლოგიაზე.

პედაგოგებმა ბავშვებს კიდევ ერთხელ შეახსენეს, რომ „პური ჩვენი არსობისა“ აუცილებლობაა.

ხაზაზები პატარებს ცხელი შოთის პურით გაუმასპინძლდნენ. პატარებს ეს ერთი ჩვეულებრივი დღე მუდამ ემახსოვრებათ.

მარინა მიქაპარიძე  
დანეებითი კლასის პედაგოგი

პოეტისა და პედაგოგის შემოქმედებითი სალამო

„რა ტკბილი იყო შუქელვარა დილა პატარძელში! ოქროვანი ხმით მოწერიალე გაზაფხულის დღეები, როცა ჩვენც ნუშებივით ვყვავდით, როცა ფეხებზე მინა ვრიალებდა, გული გვედგა ოქროს ბურთისა და თავს ოქროს წვიმა გვანვიდა...“

ეს ჩემი სიტყვაც იმ გაზაფხულის დღიდან არი გამოწინაურნი...“

კიდევ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გოგლასებურად, დაახლოებით ასე იტყვის, ალბათ, პატარძელეული პოეტი, ხუთი წიგნის ავტორი, მამულზე უზომოდ შეყვარებული კაცი - რომან ზუკაიშვილი.

სამი ათეული წელიწადია, რომანი პედაგოგია. ფრანგულ-ინგლისური ენების სპეციალისტმა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე მშობლიური სოფლის სკოლაში დაიწყო მასწავლებლად მუშაობა და სულ მალე სკოლის ხელმძღვანელობაც დააგვიტოვა. დირექტორად წარმატებული მუშაობისათვის მისი ქება-დიდება ყოველთვის ისმოდა. ბოლო წლებში, მხედველობის გაუარესების გამო, საყვარელ პროფესიას დიდი გულისტკივილით და, იმეღია, დროებით ჩამოშორდა. სამაგიეროდ მისი პოეზია ზრდის მომავალ თაობებს ღირსეულ მამულიშვილებად. თემატურად მრავალფეროვან მის შემოქმედებაში უმთავრესი მაინც სამშობლოა, ლექსებით ეფერება უკვდავებსა თან ივენანით მოსაუბრე საქართველოს და ამ სიყვარულის პასუხი იყო სწორედ მისი შემოქმედებითი საღამო, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირმა საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში გაუმართა.

ბალათერ არაბული, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე: „პოეტი, ალბათ, ზრდელი, სამაგალითო მამულიშვილი - ასეთია პატარძელეული შემოქმედის მოკლე დახასიათება. რომანი მწერალთა კავშირის წევრი გახლავთ. მისი პოეზია სიხარულია და სიამოვნების წყაროა. რომანი



ემზარ კვიციანიშვილი, რომან ზუკაიშვილი, ბალათერ არაბული

გოგლასავით „ბროლნამსხვრევი გირის თვალსამოთხე ნაპირებში“ გაიზარდა, სიტყვებსაც მასავით „ლურჯთვალა იებში, ყაყჩოგარეულ ჯეჯილებსა და მზით ამოვსებულ თავთავებში“ კრფს. იგი ერთ-ერთი იმგვარად ადგილის დედასა და ყრმობის იმბაზს, თავის პირველ პოეტურ სამყაროს. მიხარია, ამ ლამაზ სოფელს ჩვენი კავშირის წევრი რომ ამშვენებს...“

ემზარ კვიციანიშვილი, პოეტი: „კარგად ვიცავს რომანის პოეზიას, რა ლამაზად წვდება ცხოვრების აზრსა და ფსიქოლოგიურ საწყისებს. როგორ უყვარს შინაგანად განცდილი ქართული სიტყვები. თითქოს პირველად აღმოაჩინაო, სიხარლის ისეთ ელფერს აძლევს ირგვლივ ყველაფერს.“

რომანს შეუძლია, დაგანახოთ, როგორ ქარგავს ჭაღარა ქარი ნისლის ფარდას, როგორ დადის ჭაღარა ვერცხლის ჩოხით პაპა ზამთარი, როგორ გაგორდა მისი ლალი სიცილით „ყაყჩოგების ვნებით დაცვარულ ხასხასა ველზე“. ამიტომ შეიყვარა იგი მკითხველმა.“

თემურ ჩალაბაშვილი, პოეტი: „რომანი ნაღდი ქართველი ეროვნული პოეტი. წერს სადად, ადამიანური ენით. იგი ტკივილს ტკივილად განაზოგადებს და სიხარულს - სიხარულად. მისი განცდები ალა-

ლი და უშუალოა. რომანი მართლა პოეტი. მისი შემოქმედებითი თვალსაწიერი მაინც სამშობლოა. მრავალფეროვანია. მისი გულითხვალეები ძალიან შორს იყურებიან. არც ტრაგიკული, მისტიური ნიღსვლები აკლია და არც მშვენიერი, ამალელებული ლირიკული ვარიაციები. „შენს თავს მივანდობ ქედებს და ერთ ანკარა წყაროს - ჩემი სიზმარი გეტებს - ვერ გპოულობს და წვალობს“. რა მშვენიერი სუფთა სიყვარულიანი ამოძახილია. ეს სტრიქონები მის პოეტურ კრედილაც კი გამოდგება...“

ვაჟა დურგლიშვილი, კომპოზიტორი: „ოცდაათი წელიწადია, მე და რომანი ვემგობრობთ. იგი გიორგი ლეონიძის მინაზე დაიბადა და აქაურმა მქროლავმა, ვერცხლისფრად აზვირებულმა იორმა, ფერადყვავილებიანმა მინდვრებმა, კამკამა ცამ და ტყემლის ყვავილებს ნამქერმა ასწავლა ქართული ლექსის მუსიკა. როდესაც მის პოეზიას ვკითხულობ, სიმღერას ვუსმენ. სწორედ ამან განაპირობა, რომ მის ტექსტებზე 30-მდე სიმღერა დავწერე, რომლებიც სხვადასხვა დროს შეასრულეს: რობერტ ბარძიმაშვილმა, თემურ ნიკლაურმა, ლეო ნურნუშიამ, მანანა თოდაძემ, ლანა ხუროშვილმა. რომანის ლექსებზე დაწერილი სიმღერების მიხედვით გადაღებულია ორი კლიპი: „სინანულის დღე“ (მღერის თემურ ნიკლაური) და „საქართველო“ (მღერის თამარ ხუროშვილი).“

რომანს შემოქმედებითი საღამო მიულოცეს: პატარძელის კულტურის სახლის მენეჯერმა, ქალბატონმა თინათინ ბერძენიშვილმა; საქართველოს ფილარმონიის დირექტორის მოადგილემ, ბატონმა ლადო ხელაშვილმა; ნინოწინდელმა სახალხო მთქმელმა, ფოლკლორული რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატმა შალვა ოკინაშვილმა.

დასასრულს, პედაგოგმა და პოეტმა რომან ზუკაიშვილმა საკუთარი ლექსები წაიკითხა.




თემურ ჩალაბაშვილი, ვაჟა დურგლიშვილი

ლეილა არჩვაშვილი



# პარიზული გაზაფხული



მიმდინარე წლის 28 მარტს თბილისის 24-ე საჯარო სკოლამ ფრანგული კულტურის დღეებში მიიღო მონაწილეობა თეატრალიზებული წარმოდგენით „პარიზული გაზაფხული“.

ჩვენება ითვალისწინებდა მოსწავლე ახალგაზრდობის დაინტერესებას ფრანგული კულტურითა და ხელოვნებით. სკოლის მესამე საფეხურის მოსწავლეები უკლებლივ დაესწრნენ ჩვენებას და დიდი გულისყურით ჩაერთვნენ შემოქმედებით პროცესში.

წრე შეიკრა – მონაწილეთა და მსმენელთა შორის უშუალო კავშირი დამყარდა. ოვაციებმა დიდხანს გასტანა, ბატონი გია მურდულია ამ ოვაციების ფონზე გამოვიდა და მაღალი შეფასება მისცა მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ განუღო შრომას, დიდი გემოვნებით მონაწილეობა აღნიშნა. მოწვეულმა სტუმრებმა – ჟურნალისტებმა და ქალაქის სხვადასხვა სკოლის პედაგოგებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ჩვენებას პროექტის სახე მიეცეს და უახლოეს მომავალში ქალაქის მასშტაბით განმეორდეს.

„წარმოდგენით პარიზი ასი წლის წინ. პარიზული ლამაზი კაფეები სავსეა მწერლებ-

ბით, მხატვრებით, პოეტებით, მუსიკოსებით. ვის არ შეხვდებით აქ – რენუარს, პიკასოს, დეგასს, მოდილიანის. ჩვენს ქალაქს სიყვარულის ქალაქს უწოდებენ, ეს გახლავთ მსოფლიო მოდის დედაქალაქიც.“

## მუზა

მე-19 საუკუნე იყო პერიოდი იმ დიდი ცვლილებებისა, რომელმაც ახალი დარგების განვითარებასთან, ახალი ქალაქების აგებასა და რკინიგზის შექმნასთან ერთად, სამუდამოდ შეცვალა ადამიანის ცხოვრება. მხატვრები პოეტ შარლ ბოდლერის გავლენას განიცდიდნენ და თანამედროვე ცხოვრებას ასახავდნენ.

მოდილიანის პორტრეტები ადვილი ამოსაცნობია. გრძელი და თხელი ოვალური ფორმის თავი, დაქანებული მხრები და საოცრად დახვეწილი ფერები – ეს მისი სტილია. ამას ემატება სხეულის გაზნეილი ფორმები, კალთაზე უღონოდ დაშვებული ხელები, გუგის გარეშე გამოსახული მთლიანად ცისფერით შეცვებული თვალის ქრილი, ერთგვარად სევდის განწყობას აღძრავს. ამგვარი განწყობა მის ყველა პორტრეტს ახასიათებს. ის

თითქოს თავის მარტოობის განცდას ყველა იმ ადამიანს უნანილებს, რომელსაც ხატავს.

„პუბლიკა გულში გიკრავს, გიხსნის თავის გულს და მთლიანად გშთანთქავს, შენ იყავი მისი სიყვარულით ის კი შენით, შემდეგ ჩამქრალ დარბაზში გესმის მიმავალი ნაბიჯების ხმა, ეს ჯერ კიდევ შენი ნაბიჯებია, ჯერ კიდევ კარგად გრძნობ თავს, შემდეგ გადიხარ ქუჩაში და ხვდები რომ მარტო ხარ.“

ელიტ პიაფი

„თუ რომელიმე ქალმა სილამაზით მოგხიბლათ და ვერ იხსენებთ, როგორ ეცვა, ესე იგი იდეალურად იყო შემოსილი.“

კოკო შანელი

„მე მიტაცებდა თეატრის ცხოვრება. ასე მეგონა ვგრძნობდი მის მაჯისციემას, მის სუნთქვას. განსაკუთრებით მიზიდავდა მსახიობთა სამზადისი სცენაზე გასასვლელად. მე მაინტერესებდა არა მარტო სახე, არამედ მოძრაობა და ის დაძაბულობა, რომელიც იქ სუფევდა. ვიცოდი, თუ ყველაფერ ამას გადმოვცემდი, მიზანი მიღწეული იქნებოდა.“

ელგარ დეგა

„ნახატი სასიამოვნო, მხიარული და ლამაზი უნდა იყოს, დიას ლამაზი! ამქვეყნად ისედაც ძალიან ბევრი უსიამოვნო რამ არის.“

ოგიუსტ რენუარი

მე-20 საუკუნის დასაწყისში მრავალი ახალი მიმდინარეობა გაჩნდა, მხატვრები სულ უფრო თამამ ექსპერიმენტებს ახორციელებდნენ, რასაც მათი თანამედროვე ცხოვრება და ხელოვნებასთან დაკავშირებული ახალი თეორიებიც უწყობდა ხელს. ამ მოვლენას „ავანგარდის“ აღზევებას უწოდებდნენ. სიტყვა „ავანგარდი“ კი, ფრანგულად ჯარის მოწინავე ნაწილს ნიშნავს.

„როგორ გინდათ გაიგოთ ჩემი ნახატები, როცა მათ შემქმნელს არ მესმის მათი. ის ფაქტი, რომ ხატვის მომენტში მე არ მესმის ჩემი ნახატების, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მათში არავითარი აზრი არაა, პირიქით, მათი აზრი იმდენად ღრმაა, რომ არ ემორჩილება მარტივ ლოგიკურ ანალიზს.“

სალვადორ დალი

მარინა ბენიკი



სპორტი

„მორკინალი“ თბილისს გასცდა



გლდანი-ნაძალადევის სასკოლო სპორტკლუბმა „მორკინალი“ მორიგი ტურნირი ჩაატარა, ამჯერად კალატბურთში ბიჭებს შორის, რომელთაც სკოლების დიდი ინტერესი გამოიწვია – შეჯიბრებაში 24 საჯარო სკოლა მონაწილეობდა. ტურნირი ვაჟებში კი იმართებოდა, მაგრამ ერთი გოგონების გუნდიც გამოერია, რომელიც 115-ე სკოლამ გამოიყვანა. გოგონები ეძახე და ორი თამაში კი მოუგეს ვაჟებს, ასეთი სპორტული შემართებისთვის კი ეს გუნდი პირველობის ბოლოს საგანგებოდ დაჯილდოვდა. თუმცა მონაწილეთა შორის მხოლოდ გოგონები არ ყოფილან გამორჩეულები – მე-200 ინკლუზიური სკოლაც მონაწილეობდა, რომელიც ასევე სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

ორგანიზატორებმა ეს სკოლები 4 ჯგუფში გადაანაწილეს, რომელთაგანაც პლეი ოფში 2-2 საუკეთესო გადიოდა. ჯგუფური ეტაპის შეხვედრები 115-ე, 69-ე, 175-ე, 177-ე, 114-ე, 32-ე და 59-ე სკოლების დარბაზებში ჩატარდა, რისთვისაც კლუბის ხელმძღვანელობა მათ დირექციას ძალიან ემადლიერება.

ფინალურ ეტაპს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დარბაზმა უმასპინძლა, რაც კლუბსა და უმაღლეს სასწავლებელს შორის დაწყებული თანამშრომლობის შედეგია – ხელმძღვანელებმა მიაღწი-

ეს შეთანხმება და იქაურობა „მორკინალის“ მიერ გამართულ სპორტულ შეჯიბრებებს მომავალშიც უმასპინძლებს. ვფიქრობთ, კლუბთან ერთად ყველა შეუერთდება უნივერსიტეტის რექტორ **ლამა გოცირიძისა** და მის მოადგილე **ცოტნე ვარდანაშვილისადმი** სამადლოებელს, რადგან ამით ბავშვებს ცხოვრების ჯანსაღ ნესს აჩვენებენ.

ნახევარფინალში 32-ე სკოლამ 69-ე დაამარცხა და ფინალში გავიდა. ასეთივე უფლებები მოიპოვა 120-ე სკოლამაც, რომელმაც ნახევარფინალიდან 173-ეს გუნდი გაავლო და ბრინჯაოს მედალისთვის ბრძოლას დააჯერა 69-ესთან. შესაბამისად გილისთვის შეხვედრა დაძაბული გამოდგა – ძირითადი დრო ფრედ, 33:33 დასრულდა და გამარჯვებული დამატებითა დრომ გამოავლინა. იქ 69-ემ 4:2 იმარჯვა და საბოლოო ანგარიშში 37:35 ბრინჯაოს მედალოსანიც გახდა.

უინტერესო არც ფინალური შეხვედრა ყოფილა, თუმცა იქ 120-ე სკოლის უპირატესობა თავიდანვე გამოიკვეთა და ინიციატივა ბოლომდე არ დაუთმოიათ. ორთაბრძოლა მათი სოლიდური გამარჯვებით დასრულდა – 47:32. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ გამარჯვებულია ნეერი **ნიკა ყირიმელი** დაასახელეს. საუკეთესოები გამოავლინეს ცალკეულმა სკოლებმაც –

32-ემ ეს პატივი **ნიკა ნიშნანიძეს** დასდო, 69-ემ – **აკაკი ნუცუბიძეს**, 173-ემ კი თავისი რიგებიდან **გიორგი ყვინაშვილი** გამოარჩია.

„მორკინალი“ აპრილის მეორე ნახევარში, ისევ აგრარულის დარბაზში, მაგიდის ჩოგბურთშიც გეგმავს შეჯიბრებას ერთი საიხლით – გუნდები უფროსკლასელ მოსწავლეებთან ერთად მასწავლებლებითაც იქნება დაკომპლექტებული, უფრო კონკრეტულად კი 3-3 მოსწავლეს 2-2 პედაგოგიც დაემატება. „მორკინალის“ შეჯიბრებებში უცხო არც არათბილისელთა მონაწილეობაა და მაგიდის ჩოგბურთში გამოსვლის სურვილი ნეოროვანის დევნილთა დასახლების მოსწავლეებსაც გამოუთქვამთ, რასაც სიამოვნებით დასთანხმდნენ. „მორკინალის“ ხელმძღვანელობა კლუბის ჩამოყალიბებისთანავე აცხადებდა, რომ მათი მიზანი რეგიონებში გასვლაც იქნებოდა და ნელ-ნელა მიზანსაც აღწევს – მათთან თანამშრომლობა ახალციხის სკოლასაც მოუწოდებდა, რომელსაც თავის ქალაქში კლუბის ფილიალის შექმნის სურვილი გამოუთქვამს. იმედია, მათ სხვა რეგიონებშიც შეუერთდებიან, მანამდე კი დაველოდოთ მაგიდის ჩოგბურთს, სადაც მასწავლებლებს მოსწავლეთა წინაშე მოუწევთ საკუთარი ჩაუქობის დამტკიცება.



საქართველოს 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებმა დიდი სენსაცია შემოგვთავაზა – წინა კვირას თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდის შესარჩევ ეტაპზე გრანდები „სიკვდილის ჯგუფში“ ჩატოვა და მათ ნაცვლად მისი სლოვენიაში თვითონ ითამაშეს. თავის დროზე, როცა წილისყრა დამთავრდა და გაირკვა, რომ ჩვენთან ჯგუფში ფეხბურთის შემქმნელი და მუდამ ნებისმიერი ტურნირის ფავორიტი ინგლისი, სადღეისოდ მსოფლიოში საუკეთესო საფეხბურთო მოდელით თუ ყველა ასაკში (თუმცა ასაკობრივებში – მაინც განსაკუთრებულად) შედეგებით გამორჩეული ესპანეთი და ევროპულ ფეხბურთში ანგარიშგასანევი უკრაინა მოხვდნენ, ასეთ შედეგს ოცნებაშიც ვერავინ წარმოიდგენდა. არადა, **ვასილ მისურაძემ** და მისმა გუნდმა დაამტკიცა, რომ მონდობას, საქმისადმი სწორ მიდგომას და მონდომებას ყველაფერი შეუძლია, რომ „ყანასავით მინდვრებზე“ გაზრდილებმაც შეიძლება აჯობონ ესპანეთის და ბრიტანეთის სუპერთანამედროვედ კეთილმოწყობილ საფეხბურთო აკადემიებში გაზრდილებს.

ჩვენმა ნაკრებმა პირველი თამაში ესპანეთთან ფრედ რომ დაასრულა, წინა ნომერში გაცნობიერდა. მეორე შეხვედრა ჩვენებს ინგლისთან ჰქონდათ და 1:0 მოიგეს, თუმცა ეს არ იყო უბრალოდ გამარჯვება, იქ მათ ქართული ფეხბურთისთვის ჩვევად ქცეული რამდენიმე ცუდი სტრუქტურული დამახასიათებელი: არ შეუშინდნენ სახელმწიფო და ინგლისის ავტორიტეტს; უფრო ფრედ მიმდინარე შეხვედრის ბოლო ნუთები დაცვაში ჩადგომის ნაცვლად შეტევაში გაატარეს; ანგარიშის შენარჩუნებაზე არ უფიქრობდნენ და საკუთარი ბედის გამოსაწყვდად ბოლომდე იბრძოდნენ, რაც მსაჯის დამატებულ მეოთხე ნუთზე დაუფასდათ კიდევ – აუტიდან მოწოდებულ ბურთზე **გიორგი პაპუნაშვილმა** დავით **დარციმელიასთან** რამდენიმე მეტოქის გარემოცვაში მშვენიერი კედელი გაითამაშა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მახვილი კუთხიდან გამარჯვების დასჭრა. ეს ეპიზოდი დიდი ფეხბურთის მშვენიერ იყო, რომელშიც მწვრთნელთა მუშაობა სარკესავით გამოჩნდა – მოკლე პასებით გათამაშებულ კედელს ვარჯიშებზე გულდაგულ დამუშავების კვალი ეტყობოდა. პაპუნაშვილის ზუსტი დარტყმაც აღსანიშნავია – ბოლო-ბოლო, ამასაც კლასი სჭირდება და ქართულ ფეხბურთის ბოლო წლებში კარგი გოლეადორი, კარგი დამრტყმელი და გოლის ალლოთი დაჯილდოებული თავდამსხმელიც საძებარი ჰყავს. ამდენად, პაპუნაშვილის ერთი შეხებით დამუშავებული

ბურთი და უსწრაფესად მიღებული სწორი გადაწყვეტილება ქებას ნამდვილად იმსახურებს, თუმცა იმ მომენტის მთავარ ღირსებად დარცხმულია პასი იქცა, კარისკენ ზურგით მდგარმა ქუსლით რომ გაუჭრა პაპუნაშვილს. ამით მან მეტოქის მცველიც „მოტეხა“, რომელიც აშკარად მის შემოტრიალებას უფრო ელოდა, ვიდრე – ასე ანაზღაურდა პასს, თანაგუნდელი კი იმდენად ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, დაზღვევაზე თამაში ვერც ლამის ფეხებში ჩამხტარმა მცველმა მოასწრო და ვერც მეკარემ შეარჩია სწორი პოზიცია.

ჯგუფის ბოლო შეხვედრაში ჩვენებს აუტსაიდერ უკრაინასთან გამარჯვება აძლევდათ ხელს, რადგან ამ შემთხვევაში ესპანეთი-ინგლისის მატჩს მნიშვნელობა ეკარგებოდა. მასპინძლებმა ეს ამოცანაც წარმატებით გადაჭრეს – კვლავ 1:0 იმარჯვეს, რითაც კიდევ ერთი სტრუქტურული გააცამტვერეს, ჩვენებს ხომ წმინდად უჭირთ ბოლო ნაბიჯის წარმატებით გადადგმა და ამ ბავშვებს კი არა, ასეთი საპასუხისმგებლო თამაშები ეროვნულ ნაკრებსაც სწორად ჩაუგდია. საბედნიეროდ, მისურაძის განვრთნილი ბიჭები არ შედრკნენ და საჭირო მოგებისთვის ამჯერადაც ბოლომდე დაინარჯნენ. ეს გამარჯვება მნიშვნელოვანი იმითაცაა, რომ ქართველებს ძირითადის სამი მოთამაშე აკლდა, უკრაინა კი ოპტიმალური შემადგენლობით გვებრძოდა. თუმცა მისურაძის მოქოქილი მანქანა ვერც დანაკლისმა მოარყია და **დღე-კო მზევაშვილმა ვანო წილოსანის** კარგი დრობითი გოლად აქცია.

მისურაძემ პრესკონფერენციაზე ხაზი ბიჭების უბრალოებას გაუსვა, თუმცა რად დაუფადა ეს, ამაზე არ უსაუბროდა. გუნდს მისი ეტყობა, ეს ბრიტანელთა ნირნამხდარმა თავკაცმა **ჯონ პიკოკმა** აღნიშნა, თქვენებმა გუნდური სულისკვეთებით და მწვრთნელით მოგვიგესო. „ჩვენ სისტემა, დიდი მანქანა დავამარცხეთ, რაც სიყვარულმა და საქმიანობით თავდადება მოგვიტანა“ – თქვა იმავე მატჩის შემდეგ მისურაძემ. გუნდურობა მართლაც ახასიათებდა ჩვენებს თამაშს, ასეთ პრობებში კი ვინმეს გამორჩევა ძნელია, თუმცა წარმატების ერთ-ერთ მიზეზად მეკარე ალექსანდრე ადამიას კარგი თამაშიც მიგვაჩნია. ის მართლაც რომ საიმედოდ იდგა კარში და თანაგუნდლებს ზურგს უმაგრებდა. მისურაძის კიდევ ერთ დამსახურებად ის მიგვაჩნია, რომ კაპიტნის შეცვლას და მერე ჩინმალალი ახლომდებარე შემოტრიალებას არ მოერიდა. გვეჯერა, ის სლოვენისთვისაც ასეთივე შემართებით მოამზადებს გუნდს, იქ კი ვისთან მოგხვდებით ჯგუფში, უახლოეს დღეებში გაირკვევა. თუმცა ელიტ-რაუნდის შემდეგ წილოსანის შედეგები და მეტოქეთა ვინაობა იმდენად აღარ გვაინტერესებს. ახლა მთავარია, ჩვენებმა შეძლონ მობილიზება, ისტორიად ქცეული მართლაც ისტორიული წარმატება დროულად დაივიწყონ და სათანადოდ განეწყონ ახალი პატივებისთვის. მათ თუ ეს შეძლეს, იქ ესპანეთსა და ინგლისზე ძლიერი მეტოქეები არ შეხვდებიან – ამ ასაკში (თუმცა არა მხოლოდ აქ) გამორჩეულად ძლიერები ხომ თბილისურ ჯგუფში ჩატოვენ.

კვლავ 14 მედალი



კიევში დასრულებულ ჭაბუკ ძიუდოსტთა ევროპის თასზე დიდი წარმატებით გამოვიდა ჩვენი ნაკრები – 14 მედალი მოიპოვა, აქედან 2 ოქროს, 3 ვერცხლი და 9 ბრინჯაო. ოქროს ერთი მედალი გოგონების მონაპოვარია, დანარჩენი – ვაჟების. გოგონებიდან ჩემპიონი **მარიამ ჯანაშვილი** (57) გახდა, რომელმაც ოთხივე შეხვედრაში დიდი უპირატესობით იმარჯვა – ორი წმინდად მოიგო, ორიც – ვაზართი. ბიჭებიდან ანალოგიურ წარმატებას **ვანო ჩურჩხელაშვილმა** (73) მიაღწია, რომელიც ადრე ქვედა წონაში გამოდიოდა. კიევში მან თავიდან ოთხი იპონი მიითვალა და მხოლოდ ფინალი მოიგო მინიმალური ანგარიშით, ორი გაფრთხილებით.

ტურნირის ვიცე-ჩემპიონები გახდნენ: **კობა მჭედლიშვილი** (60), **გიორგი გველესიანი** (90) და **ზაზა გოჯიაშვილი** (+90); ბრინჯაოს მედა-

ლოსნები – **ირაკლი კუბაბაძე** (50), **ბექა ნათათარიშვილი**, **გიორგი კაციაშვილი** (ორივე – 55), **ბექა უდესიანი** (60), **თამაზ კირაკოზაშვილი** (73), **გიორგი ქურდიანი**, **ნიკა მოველიძე** (ორივე – 81), **დავით რამაზაშვილი** (90) და **გიორგი ძებისაშვილი** (+90).


კიევის ტურნირი ევროპულ თამაშებში მონაწილეთა შორის გადის – მეტ ქულებს იძლევა სარეიტინგოდ. ნლეულსაც, ტრადიციულად, ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა. ჩვენებურთა კარგი გამოსვლაც ამიტომ იქნეს ორმაგ დატვირთვას. მით უფრო, რომ ორი კვირის წინ მათ ანთალოის კიდევ ერთ პრესტიჟულ ტურნირშიც წარმატებით იჭიდავეს და ასევე 14 მედალი მოიპოვეს. ეს ფაქტი ცხადად ადასტურებს, რაოდენ სტაბილური გუნდი გვყავს. კიევში, ძირითადად, თურქული შეჯიბრების მედალოსნებმა იასპარეზეს და ყვე-

ლამ გაამართლა იმედები. სავარაუდოდ, ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გიორგი თენაძე** უკვე შეარჩევდა, 22-24 ივნისს, ჩერნოგორიულ ბარში, ევროპის ჩემპიონატზე წასაყვან შემადგენლობას. მით უფრო, იქ წონაში ორ-ორი კაცის დაყენება შესაძლებელია, თუმცა არ გამოვიცხადებთ, ერთი-ორგან კონკურენცია საბოლოოდ მისიში გადაწყდეს, ბერლინის ტურნირზე. კიევში ფავორიტებმა, ძირითადად, გაამართლეს მწვრთნელთა იმედები, მათ შორის – **ჯანაშვილმა**, რომელიც ანთალიაში მესამე იყო, თუმცა იმ შეჯიბრების შარშანდელი გამარჯვებულია. ახლა უკვე საკვებით დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სპეციალისტთა იმედების გამართლება, მის პერსპექტიულობასთან დაკავშირებით, მხოლოდ დროის ამბავია, ანუ საქართველოში ქალთა ძიუდო ძველ შედეგებს დაიბრუნებს.



რუბრიკას უძღვება ირაკლი თაყაიძე

სიასლა!



კლასიკური პოეზია



სამი ტომის ფასი 21 ლარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42x59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. სილ-პოსტნული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საძარტველი

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4x84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საძარტველები
6. ძველწარმოებები საძარტველოში
7. საძარტველო მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიღაბი - სიცოცხლის წყარო
11. ქველი რომი
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინოზავრი
14. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
15. საფხაროს წარმოშობა
16. ძარტველი მემორის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34x47 სმ)

- |                          |                          |                        |
|--------------------------|--------------------------|------------------------|
| 1. მიხეილ ჯავახიშვილი    | 10. იოსებ ბრიჯაშვილი     | 19. აკაკი წერეთელი     |
| 2. გიორგი ლეონიძე        | 11. პულიკარა კაკაბაძე    | 20. რუსთაველი          |
| 3. ირაკლი აბაშიძე        | 12. გურამ რჩეულიშვილი    | 21. ვაჟა-ფშაველა       |
| 4. ნოდარ დუმბაძე         | 13. იაკობ ხუცესი         | 22. თეიმურაზ I         |
| 5. მირზა ბელოუზანი       | 14. ივანე სებასტიანი     | 23. ვახტანგ VI         |
| 6. აკაკი ბაქრაძე         | 15. დავით გურამიშვილი    | 24. გიორგი მერჩულე     |
| 7. ვასილ ბარნოვი         | 16. ზესიკი               | 25. ბრიგოლ ორბელიანი   |
| 8. პაულუ იაშვილი         | 17. რევაზ ინანიშვილი     | 26. დავით აღმაშენებელი |
| 9. სულხან-საბა ორბელიანი | 18. ალექსანდრე ჭავჭავაძე | 27. გურამ ასათიანი     |

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეკროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

- |  |   |
|--|---|
| 1. ცისფერი ბალერინები - დეა                    | 7. დელფინული სიბილა - მიქელანჯელო                       |
| 2. ჰორაციუსის ფიცი - შაპ-ლუი დავიდი            | 10. მხატვრის გალი - კლოდ მონე                           |
| 3. მწყობრთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო | 11. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი                |
| 4. ადელ ბლოხ-გაუარის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი  | 12. საძინებელი - რენუარი                                |
| 5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რაინი  | 13. საპირბო გაცეირება, გრან-შატის კუნძულზე - შორჰ სიორა |
| 6. მინიები - ველასკესი                         |   |

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

## ქართველი მწერლები


- ❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომიანი), I-IV ტომი, - 11 ლარი
- ❖ ალექსანდრე ყაზვბეგი (2-ტომიანი), I-II ტომი, - 11 ლარი
- ❖ მინაილ ჯავახიშვილი (7-ტომიანი), I-VII ტომი - 11 ლარი
- ❖ ლევან გომთუა (7-ტომიანი), I-II ტომი - 16 ლარი
- ❖ ელიშვილ ყიფიანი (2-ტომიანი), I-II ტომი - 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომიანი), I, II, III, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭავჭავაძე (9-ტომიანი), I-IV ტომი - 12 ლარი
- ❖ ბრიგოლ აბაშიძე (6-ტომიანი), I-II ტომი - 12 ლარი
- ❖ ოტიან იოსელიანი (10-ტომიანი), I-IX ტომი - 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომიანი), I-VI ტომი - 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომიანი), I-IV ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

## გამოცემლობა „აქალი განათლება“ და გაზეთი „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი

სელმომწერთა საყურადღებოდ!  
თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ „დიოგენეს“ შემოთავაზებით და გააფორმოთ სელმომწერა.

### გამომწერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალური ფასად



საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“

29.90


17 ლარი



საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი



კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გამკვლევი ლიტერატურის შემსწავლელთა და მოყვარულთათვის ავტორი თამაზ ვასაძე

11 ლარი



მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი თამარ ბეროზაშვილი „ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი

## „ახალი განათლება“ წიგნის თანად

### მიმდინარეობს სელმომწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური სელმომწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

სელმომწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735  
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE93LB0113314052305000

## უპროპორციულად!



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია


~~30~~ 26 ლარი

სელმომწერის ილუსტრირებული ისტორია

~~40~~ 30 ლარი

### „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

ერთი ტომი - 12 ლარი



• გუსტავ ფლობერი - მაღამ გოვარი

• ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო

• ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი

• ემილ ზოლა - ქალთა ბედნიერება

• ალექსანდრე დიუმა - კავკასია

• ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები

• ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული

• სტენდალი - წითელი და შავი

• ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები

• ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა


• ერის მარია რემარკი - სამი მიგობარი

• შოდერლო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები

• ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები

• შტეფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულისა

• მაინ რიდი - კვარტარონი




„რა არის რა“

50-ტომიანი.

ერთი ტომის ფასი

11 ლარი

გაყიდვავის სერიის 27 ტომი



ილია ჭავჭავაძე, ორტომიანი

ორტომიანი ფასი 16 ლარი



სამართვლოს ისტორიული ატლასი

ფასი 5,70 ლარი



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტაბაღაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.  
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის ხელმოწერისთვის: 76096

გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები: სამართვლოს პანკი ბ/კ BAGAGE22,

ს/კ 202058735, ა/ა GE 86 BG 0000000 123631000 GEL

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >